

40
948/3.

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ
ՊԱՐՏԱԿՐԱԿ



N°1

1948

Յ. Ռ. Ն. Գ. Կ. Ռ



ცენტრალური

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი 1948 წელი

№ 1

ი ა ნ ვ ა რ ი

გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი:

თბილისი ლენინის ქ., № 28,

ტელეფონი № 3-81-85



პ. ი. თ. ნ. ე. რ. ი

საპარტიო ალკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

Ежемесячный детский журнал
Центрального Комитета
ЛКСМ Грузии

ПИОНЕРИ

(на грузинском языке)



თბილისი, ნაძვის ხე ძერჯინსკის სახელობის კლუბში.

ფოტო რ. აკოფოვისა



4778.

პ. ი. ჯენინი
1870-1924





იანვრის ღამე

დაღამდა, ცამ ვარსკლავები
გადმოგვაყარა უბით,
ხალხი მოვიდა, გაბრწყინდა
სოფლის პატარა კლუბი.
გულს გვიძგერებდა მალხაზებს
განათებული სცენა, —
ფარდა გაიხსნა, აკმღვრდით,¹
ტკბილად ავიდგით ენა.
იანვრის ქარი თხიზელი
ვერ ისვენებდა გარეთ,
ღროღადრო შემოსასვლელად
მოაწყდებოდა კარებს.

უცებ გაისმა ფეხის ხმა...
უცებ დაეშვა ფარდა...
ცამ ვარსკლავები ჩააქრო
ქვეყნის უეცარ დარდად.
დავდუმდით, ქვევით დავემვით
დაღონებული სახით, —
წამოშლილიყო დარბაზშიც
გაოცებული ხალხი.

—რა მოხდა?! ნეტავ კარებთან
ძია თევდორე რად სწუხს?! —
ვამბობდით, მაგრამ გარშემო
ვერვინ გვაძღვედა პასუხს.

—რა მოხდა?! — კითხვით ერთმანეთს
ნაცნობი ნაცნობს აპყავა...
გულისკენ ხმა იღუმალი
სევდად იკვლევდა გზა-კვალს, —
უეცრად გლოვად გაისმა:
—ღენინი აღარა გვყავს!

თავი დაეხარეთ მწუხარედ,
ყველას დაგვება ენა,
უხმოდ დავტოვეთ დარბაზი,
ჩაბნელებული სცენა.


* *

განაბულიყო სოფელი,
ხმა გაეკმინდა ქარსაც,

სდუმდა პატარა წისქვილიც
დაცლილი ქოხის მსგავსად.
საავდრო, სქელი ღრუბლები
გაფენილიყვნენ ცაზე, —
ფიქრში მყოფს თოვლის ფანტელი
კრძალოვით დამეცა თვალზე.
ფრთამსუბუქს ჩამოსაფრენად
ვეღარ მიუხწრო ხელმა,
გაღნა და წამწამს კანკალით
ჩამოეკიდა ცრემლად.

იმ ღამეს დიდხანს ვიმფოთე,
უმაწვილს გამიტყდა ძილი. —
ჩავთვლიმე... უმალ სარკმელზე
თვალი გაბრწყინდა დილის.
წამოვხტი, ყური მივუგდე
მამლების გაბმულ ყივილს,
გაფანტულიყვნენ ღრუბლები,
ვხედავ, ცა წითლად ღვივის, —
მზე ამოვიდა, ამოჰყვა
დიდი სტალინის სხივი.‡

გიორგი კაჭანიძე





ბერიას სახელობის პიონერთა სასახლეში

დღეს შემობრძანდა ჩვენს სასახლეში
ახალი წელი!

შემოიტანა ღიმილი, ეშხი,
და სიხარული აუწერელი.


*

შევიკრიბენით ნაძვის კარშემო
და იყო თქმული:

შეერთებულის ნიჭით და შრომით
ძია ბერიას დაფუტკბოთ გული.

მ. შიშაშვილი





ლილია მებრაქიძე

ნახატები მ. დაუშვილისა

ჩ ვ ე ნ ი ს კ ო ლ ი ს ბ ა ვ შ ვ ე ბ ი

აღისუარი ყელსახვევი

ნელი მთელი საღამო ემზადებოდა დილით სკოლაში წასასვლელად. განსაკუთრებული სასიხარულო ამბავი მოხდა მის პატარა, ჯერ კიდევ ნორჩ ცხოვრებაში. გუშინ ნელი კომკავშირში მიიღეს. ბავშვობის წლები უკან რჩებოდა. კომკავშირელის სახელწოდება უფრო საბასუხისმგებლო მოვალეობას აყენებდა ნელის წინაშე, ბავშვობიდან სიყრმის წლებში დგამდა ნაბიჯს. პიონერის ყელსახვევი უკვე უნდა მოეხსნა და კომკავშირელის ნიშანი მიეზნია მკერდზე. სასკოლო ფორმაც დღეს პირველად შეუკერა დედამ. ახლა იდგა ნელი მაგიდასთან და გულმოდგინედ აუთოვებდა ყავისფერ, ნაოჭიან კაბას, შავ წინსაფარს და თეთრ საყელოს. ხვალ ის ნამდვილი კომკავშირელი იქნება. სკოლაში, ალბათ, მისი ამხანაგებიც ახალი იერით მოვლენ. „დიახ, ალისფერი ყელსახვევის მაგიერ ყველას თეთრი საყელო ექნებათ გაკეთებულნი“. — გაიფიქრა ნელიმ და გაიღიმა... რა გაუხარდა რომ გეკითხათ იმ წამს, ვერაფერს გიბასუხებდათ გარდა იმისა, რომ „ის უკვე კომკავშირელი იყო...“

— მერე ალისფერ ყელსახვევს ვის აჩუქებ ნელი? — მხიარული, ალერსიანი ხმით ჰკითხა ბებია მადუმ, რომელიც ღუმელთან იჯდა დაბალ სკამზე. და ნელის ხელთათმანზე უკანასკნელ თვლებს აქსოვდა. ბებია მადუ ჩქარობდა ხელთათმანის დამთავრებას. ხვალ ყველაფერი ახალი უნდა ჩაეცვა ნელის. ფეხსაცმელიც ახალი მოუტანა მამამ... მართლაც ახალი ცხოვრება იწყებოდა ნელისათვის.

ნელიმ სკამის საზურგეზე გადადო გაუ-

თოვებული ყელსახვევი და ბებია მადუს უბასუხა:

— მე ეს ყელსახვევი ძალიან მიყვარს, არ ვფიქრობ ვინმეს ვაჩუქო.

ბებია მადუს თვალები გაუბრწყინდა.

— მეც ეს მინდოდა გეტყვა, ჩემო გოგონავ, რომ შენ გიყვარს შენი ბავშვობა. რაკი ასეა, აიღე ჩემი მაგიდიდან ის კაკლისხის სკივრი, რადგან შენ ძალიან მოგწონს, ვიცი. ოღონდ გაუფრთხილდი, ნელი, არასოდეს არ გააჩუქო, თუ ბები გიყვარს. ძვირფასი ჩუქურთმებია ზედ ამოჭრილი... რაც რამ გიყვარს შენი ბავშვობის, შიგ ჩაკეტე და შეინახე.

ნელი სიბარულით გადაეხვია ბებია მადუს ძვირფასი საჩუქრისათვის. გახსნა სკივრი და პირველად ალისფერი ყელსახვევი ჩასდო შიგ.

— ჩემო ბები, — ბავშვური ალტაცებით წარმოთქვა ნელიმ, — თავსავით მეყვარება ეს ორი ნივთი, რომელნიც მუდამ მომავონებს ჩემს ბების და ჩემს ბავშვობას.



დილიდანვე ღელავდნენ დიტოს სკოლის ამხანაგები. დარბაზში მერვე კლასელების მოწინავენი შეკრებილიყვნენ. მაგიდასთან ისხდნენ პიონერხელმძღვანელები და მასწავლებლები. აგერ ქალთა სკოლიდანაც მოვიდნენ ფრიადოსანი ქალიშვილები. ნელის და მის ამხანაგებს უკვე მიეზნიათ გულზე კომკავშირელის ნიშანი. ვაყები სტუმარ გოგონებს მიესალმენ. ამ დროს მასწავლებლის ხმამ მიიპყრო პიონერების ყურადღება:

— ამხანაგებო, — წარმოსთქვა ნატომ და გრძელი ქალაღლი ააფრიალა, — ეს მეთორმეტე რაზმში შემავალი მერვე კლასელების სია არის. სამწუხაროდ, ამ სიიდან ხუთი ბავშვი ვერ გადავა კომკავშირში. ორი ზარმაცია, ორი ძლიერ სუსტი და ერთი უღისცილინო.

ნატომ ამოიკითხა ხუთის გვარი. ხუთიდან ოთხი არ მოსულყო სკოლაში. სუსტებმა დაირცხვინეს და მიტომ არ მოვიდნენ, ხოლო ზარმაცებმა ქუჩებში გაატარეს გაკვეთილის საათები. მზესუმზირას ჩიჩქნით იქცევდნენ თავს.

მარტო უღისცილინო დათო ატუხულიყო ტალანში. კარის უკან, ახალ კოსტუმში გამოწყობული. გულისფანცქალით ელოდებოდა, ვინმე დამინახავს და დამიძახებსო. რაკი არავინ არ დაუძახა, გაფითრებული დათო თვითონ შევიდა დარბაზში და კარის ახლოს გაჩერდა.

— აი, შეხედეთ იმ საძაგელს! — წამოიძახა ნატომ დათოს დანახვაზე და სიცილით დაუმატა: — ეშმაკია, მაგრამ გაკვეთილი ყოველთვის იცის.

პიონერხელმძღვანელი ნიკო წამოდგა, ხელი მოჰკრდა მკლავში დათოს, კედლის გაზეთის კარიკატურისაკენ მიახედა და ყველას გასაგონად ჰკითხა:

— ამხანაგო დათო, შეხედე, როგორ მოგწონს ეს ნახატი?

ბავშვებმა ველარ შეიკავეს თავი და სიცილ-ხარხარი ასტეხეს.

დათომ შეხედა კარიკატურას და გაწიწმატდა, მიხვდა, ვის ეხებოდა იგი.

მართლაც სასაცილო სანახავი იყო ეს კარიკატურა: ხელის მაგიერ დათოს ფეხი აეშვირა მერხზე.

დათოს უნდოდა, კედლის გაზეთზე აეგლიჯა კარიკატურა და ნაკუწნაკუწად ექცია, მაგრამ თავი შეიკავა.

— ამხანაგებო, — დაიყვირა ბოლოს დათომ, — სიტყვას ვდებ, დღეიდან არ ვიქნები უღისცილინო.



დარბაზში დუმილი ჩამოვარდა. მხოლოდ დიტო მივიდა შერცხვენილ ამხანაგთან და მეგობრულად უთხრა:

— მაშ, მართალს ამბობ დათო? არ შეგვარცხვენ?

— უღირსი ვიყო კომკავშირის ნიშნის, თუ ოდესმე ვუღალატო დისციპლინას.

— იმ ოთხს რაღა ვუყოთ? — გულნატყუნად იკითხა გაბომ. ნატომ შიშხივდ ამოისუნთქა და მიმართა ნორჩ ამხანაგებს:

— რა გქნათ, ამხანაგებო, ნიკს ვერ გავათანასწორებთ, ეს ჩვენს ძალას აღემატება. საბჭოთა საზოგადოებაში არავინ დაიჩაგრება. ყველა იზოვის თავის უნარის შესაფერსაქმეს. მაგრამ ის ორი ზარმაცი როგორ გამოვასწორობთ? მეშვიდე კლასამდე კარგოსნები იყვნენ. მეშვიდე კლასში გაზარმაცდნენ. მერვე კლასში ძლივს გადაჩოჩდნენ. ახლა ორებზე ჩამოქვეითდნენ.

— ამხანაგებო, ჩვენ ზარმაცები არ გვკვირდება. — გადაწყვეტით სთქვა ნიკომ და თავი გაიქნია.

მეორე დღეს დიტოს კლასში ოთხი მოწაფე იჯდა უკანა მერხზე, დარცხვენილი, რომელთაც არ ჰქონდათ კომკავშირის ნიშანი. კლასის დამრიგებელმა ისინი წინა მერხზე გადმოსვა.

— აქ დასხედით, ცელქებო, იქნებ უფრო კარგად გაიგონოთ მასწავლებლის სიტყვა!



სახალწლო სახუქარო



1

თოვს, ცივი ქარი უბერავს,
აქა-იქ ისმის საროლა.
მიტოვებული ტანკები
გზებზე იწვის და ბოლავს.
ივრძნობა, დილით ყოფილა
დიდი, მედგარი ბრძოლა.

სამნია, ხელის მარხილით
მიაქვთ ყუთები ქშენით,
ნორჩებს პატარა მხრებზედა
ყაბალახები შვენით.
გახურებულან, ლოყებზე
აღევთ წითელი ფერი.

მიდიან ფრთხილი, ნაბიჯით,
სახეში ურტყამთ ქარი.
გზა საშიშია, მათ გულში
ერთი მიზანი არი:
უნდა გადასცენ მეგრძოლებს
ახალწლის სახუქარო.

2

არ მოელოდნენ არავის
ამ დროს, ძაუგთან ისიც,
ხევები თოვლს აუფსია,
მთებზე ფარფატებს ჩისლი,
გაოცდა შტაბის უფროსი
სამი ყმაწვილის მისვლით.



სალამი მეგრძოლოთ გადასცეს,
ყუთები გახსნეს ნელა;
იმდენი რამ წამოეღოთ,
რომ გასწვდებოდათ ყველას.
უსაზღვრო სიხარულისგან
შტაბის უფროსი ლელავს.

მაღლა აიყვანს, დაჰკოცნოს,
გულში ჩაიკრავს მერე,
გახსენდება ცოლშვილი,
თავზე გადაუსვამს ხელებს, —
გაუბრწყინდებათ თვალები
შემოსულ არმიელეს.

გახარებულმა გმირებმა
მოუაღერესეს ერთიც;
შემდეგ შეჰფიცეს ერთმანეთს,
მტერს შეუტევენ მკერდით
და გააცილეს გზამდისა
სამი ფრთაცქვიტა მტრელი.

3

აღტაცებისგან პატარებს
ერქოლვა უვლიდათ ტანში,
ფრონტელთა დანაბარებსა
იმეორებდნენ გზაში.
უცებ შორს შედრევენებით
ციცხლი ავარდა ცაში.

მოისმა კექა-ქუხილი,
ტალღას მისდევდა ტალღა.
გამოჩნდა ძღვევის ნიშანიც
თოვლიან მთების გაღმა.
ბავშვები სიხარულისგან
ქულებს ისროდნენ მაღლა.

რბენით დაეშვნენ დაღმართზე
გაბრწყინებული თვლით,
მიჰქროდნენ მახარობლები,
მიჰქონდათ ნაპერწკალი;
გამარჯვება და მადლობა
ჩვენს წითელი ჯარის.

ს ა ბ ჯ ო თ ა უ კ რ ა ი ნ ა

XXX წ ე ღ ი

მოძვე საბჭოთა უკრაინას 30 წელი შეუსრულდა. 30 წელი ისტორიისათვის არ არის დიდი დრო, მაგრამ ისიც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საბჭოთა უკრაინელ ხალხს, თავისი შრომისა და ბედის მესვეურს, ძირითადი ცვლილებები მოეხდინა, ახლებურად, სოციალისტურ საფუძველზე მოეწყო თავისი ცხოვრება. ყოველ წელს, ყოველ თვეს, ყოველ დღეს უკრაინელები აშენებდნენ ქარხნებსა და ელექტროსადგურებს, აგებდნენ ბრძმედებსა და კაშხალებს, თხრიდნენ მალაროებსა და წოლხერელებს, გაჰყავდათ რკინიგზები, აგებდნენ ხიდებს.

სამამულო ომის დაწყებისათვის საბჭოთა უკრაინის მრეწველობა უკვე გაცილებით მეტ პროდუქციას იძლეოდა, ვიდრე მეფის დროის მთელი რუსეთის მრეწველობა.


მეორე მსოფლიო ომმა გამახადურებელი ცეცხლით გადაიარა უკრაინის მიწა-წყალზე. ჩაკვდა ცხოვრება ქალაქებსა და სოფლებში. ვაშლის ხეები სახრჩობელად გადაიქცა, მალაროები — ძმათა სასაფლაოებად, კლუბები და სკოლები — ჰიტლერელთა სამიკიტნოებად.

ჰიტლერელები შეეცადნენ დაეჩოქებიათ

უკრაინელი ხალხი, უკრაინელი ახალგაზრდობა. ამის საპასუხოდ ათასობით პიონერი და მოსწავლე პარტიზანულ რაზმებში ჩაერიცხა. არალეგალურ უკრაინულ პარტიულ ორგანიზაციას გვერდში ამოუდგა კრასნოდონში „ახალგაზრდა გვარდია“, დონბასში სოფელ პოკროვსკის პიონერთა ორგანიზაცია.

საბჭოთა მეომრებმა თავისი სისხლითა და უკვდავი გმირობით დაუბრუნეს უკრაინას სხივმოსილი გაზაფხული. მდინარე დნეპრზე ბრძოლის დროს საბჭოთა არმიაში ოცდაათზე მეტი ეროვნება მონაწილეობდა. გამარჯვების შემდეგ უკრაინის ფეხზე წამოსაყენებლად, მის ასაღორძინებლად მრავალეროვან საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხიდან გაემუტრენ უკრაინაში საბჭოთა ადამიანები. უკრაინის თვალუწვდენ მინდვრებზე, სადაც უხვად დაიდვარა საბჭოთა ადამიანების სისხლი, კვლავ აგუგუნდნენ ტრაქტორები; უკრაინის ქალაქებში კვლავ ამუშავდნენ ქარხნები და ფაბრიკები.

უკრაინის აღორძინების გიგანტურ მუშაობაში თავისი ადგილი უკრაინელმა ბავშვებმაც იპოვეს.



კიევი. სტალინის სახელობის ცენტრალური მოედანი



გაზეთ „უკრაინის პრაედს“ დღითი-დღე მოსკდის უკრაინის ყოველი კუთხიდან პიონერ-მოსწავლეების მრავალი წერილი.

ქალაქ ნიკოლაევიდან თამარა მამონტოვა წერს:

„ვევაკუაციის დროს მე და დედაჩემი სტალინგრადს მოვხვდით, იქ კი იმ დროს სამხედრო მოქმედება დაიწყო. წასვლა უკვე აღარსად შეიძლებოდა. დედა ჯერ მზარეულად მუშაობდა სამხედრო ნაწილში, შემდეგ მეკავშირედ, მე კი მზვერავი ვიყავი. მე და დედა დაგვაჯილდოეს მედლებით „სტალინგრადის დაცვისათვის“. როდესაც ნიკოლაევიში დავბრუნდი, გოგონებმა რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. პიონერხელმძღვანელი არ გვყავდა. რა უნდა მექნა? შევკრიბე რგოლის ხელმძღვანელები და ვკითხე: რა გვაკეთოთ? მამინ ერთმა სთქვა: „მოდი, დავრგოთ ხეები ჩვენს ქუჩაზე“. მეორემ სთქვა: „მოდი, შევავროვოთ წიგნები და გავუგზავნოთ სოფელს ბავშვებს“. მესამემ სთქვა: „ჩვენს ეზოში ბევრია პატარა ბავშვი, რომელთაც მამები ომში დაეღუბათ. მოდი, მათ დავეხმაროთ“. ამის შემდეგ მოვიწვიეთ რაზმის კრება და გავაცანით საბჭოს გადაწყვეტილებანი. ყველამ მოგვიწონა. ახლა მე შემიძლია ვთქვა, თუ რა გვაკეთა ჩვენმა რაზმმა. ჩვენ დავრგეთ 20 ხე, შევავროვეთ 140 წიგნი, შევკერეთ რამდენიმე ტანსაცმელი. ომში დაღუპულ მებრძოლთა ბავშვებისათვის“.

მარიუპოლიდან იგორ პროკოპენკო წერს: „როდესაც ქარხანა „აზოვისტა“ დაიწყო, ჩვენ ვეკითხებოდით უფროსებს: „პიონერებმა რა გვაკეთოთ-თქო?“ ჩვენ გვეუბნებოდნენ: „თქვენ თქვენი საქმე გაქვთ — სწავლა“. — „ჩვენ ისედაც ვსწავლობთ“, — ვუპასუხეთ ჩვენ. — „მამ, ისწავლეთ კიდევ უკეთეად“. ჩვენ ვუპასუხეთ: — „ხუთებზე უკეთესი რაღა არის-თქო“... ბოლოს, როგორც იქნა მოგვცეს სამუშაო: ფერადი ლითონის შეგროვება დაგვაკისრეს. შემდეგ რკინის ჯართის შეგროვება დავიწყეთ.

მერმე აი რა მოვიგონეთ: მოვამზადეთ მხატვრული თვითმოქმედების რამდენიმე ნომერი და მივედით ქარხანაში სადილობისას. სანამ მუშები სადილობდნენ, ჩვენ მხატვრული თვითმოქმედების ნომრები ვუჩვენეთ. მოგვიწონეს, და ჩვენ შემდეგმაც მივდიოდით ქარხანაში. გარდა ამისა, დავეხმარეთ მუშებს ქარხნის დამხმარე მეურნეობის სამუშაოებში“.

ბევრ სახელოვან ადამიანთან ერთად ბევრი სახელოვანი პიონერ-მოსწავლე ჰყავს საბჭოთა უკრაინას. ეს პიონერ-მოსწავლენი წარჩინებით სწავლობენ და პრაქტიკული საქმიანობით თავისი წვლილი შეაქვთ მშობლიური უკრაინის აღორძინების დიად საქმეში.

ი. ლუზინსკი

ყოველ პიონერებს

მეგობრებო, მე ამ ბარათს თქვენთან ვგზავნი თბილისიდან, თქვენი ქვეყნის სილამაზემ მომხიბლა და მიმიზიდა.

არა, მე კი არ მინახავს თქვენი ცა და თქვენი მიწა, მამამ მითხრა, ვინაც ბრძოლით ჩვენი ძმობა განამტკიცა.

თქვენზე ბევრი მესაუბრა, მამაცებო, ბევრიც გაქოთ, ჩვენ, პატარებს გულში ჩავერჩა თქვენი ბრძოლა საარაკო.

ალალ დებად ჩატევლით მუდამ, ალალ ძმებად გვეგულებით, — თქვენ სომ თავი ისახელებთ ჩვენი ქვეყნის ერთგულებით!

ჰოდა, ახლა დიდ კიევში თქვენ რომ დიად ზეიმს მართავთ, პიონერულ საღამოს გაძღვნით, სიყვარულის გრძნობას მართალს.

მარად გულით გვამოწმებდეს მეგობრობის გრძნობა თბილი! რა დიადი სამშობლო გვაქვს, რა ვრცელი და რარივ ტკბილი!

თიმიკაზ ჯანგულაშვილი





ამბავი ინდოელთა ახლო წარსულიდან

ულრანს ტყეში ცხოვრობდა ბაბუა დაგული. შამბნარით დაფარულ ველზე აღეშართა ლერწამის კარავი. ჩრდილოეთით, დასავლეთით, სამხრეთით სულ ტყე ერტყა კარავს; ხოლო აღმოსავლეთით, შორს, მოსჩანდა თეთრი მწვერვალები ტიბეტისა.

და ცხოვრობდა ბაბუა დაგული ლერწამის კარავში, თავის შვილიშვილ პატარა ანჯალთან ერთად. ცხოვრობდნენ ისინი ყველასაგან განმარტოებით ინდოეთის ულრან ტყეში.

პატარა ანჯალის მამა, მამაცი ხოჯაი, რომელიც ბასრი დანით ხოცავდა შამბნარში მობინადრე მხეცებს, ერთხელ ინდოელებს წაჰყვა თეთრკანიანებთან საბრძოლველად და უკან აღარ დაბრუნებულა.

ბაბუა დაგული ყოველდღე თვალამღვრეული გაჰყურებდა კარავიდან მიმავალ ნაბილიკარს, რომლითაც წავიდა მისი ერთადერთი ვაჟი. იგი ხედავდა, თუ როგორ იფარებოდა ნაბილიკარი ახლადამოსული ხეებით, ხედავდა და თვალეხი ეცრემლეოდა.

მიდიოდნენ დღეები, და... ერთ დღეს კეთილმა მოხუცმა იხმო პატარა ანჯალი.

— შვილო, წარმოსთქვა მან, — ამ ბილიკს ხედავ! ამ გზით წავიდა მამაშენი. იგი იბრძოდა ინდოელთა თავისუფლებისათვის და ვინ იცის სად დაეცა ბრძოლის ველზე!

მოხუცმა აკანკალბული ხელი ბავშვის კისერზე გამობმულ მშვენიერ ყელსაბამს მოჰკადა და განაგრძო:

— ეს ყელსაბამი მამამ შეგება წასვლის წინ და დაგიბარა: — იყავ მამაცი, სამშობლოს უსაზღვრო ერთგული და შენი ხაოჭის მოსიყვარულო.

ამ ბილიკს იქით, ტყის მიღმა, შორს თევზკანიანები ცხოვრობენ. მათ დაიპყრეს ჩვენი სამშობლო... ერთდღე ამ გზას, თორემ მაგ ოქროს ყელსაბამის ნაცვლად ყელზე რკინის ჯაჭვს გამოგაბამენ ისინი.

მიდიოდნენ დღეები, მიდიოდნენ წლები. იზრდებოდა მამაცი ხოჯაის მამაცი შვილი ანჯალი. იგი ბასრი დანით თამამად ნადირობდა მგლებზე და ჯუნგლის სხვა პატარა ცხოველებზე. სმირად სპილოზე ჯდებოდა ანჯალი, შორს მიდიოდა კარავიდან. შინ ვეიან ბრუნდებოდა ნანადირევით. მაშინ კეთილი მოხუცი დაგული ნაბილიკარისაკენ გაახედებდა და ეტყოდა:

— გახსოვდეს, არ წახვიდე იქით. ერთხელ ფიქრში გართული ანჯალი მოლ-



ზე იწვა. ოცნებობდა. უეცრად ზეზე წამოიჭრა.

— უნდა წავიდე, — მტკიცედ წარმოსთქვა მან, — უნდა ვნახო ისინი.

სპილო მოძებნა, ზურგზე შეაჯდა და გაკყვა ნაბილიკარს, რომლითაც ერთ დროს წავიდა მამაცი ხოჯაკი.

მიდიოდა დიდხანს.

სამჯერ იხილა დღისა და ღამის გაყრა, მეოთხე დილას ტყე ერთბაშად გათავდა და თვალწინ გადაეშალა საოცარი სანახაობა. მის წინ იდგნენ მაღალი შენობები, ხოლო მათ უკან ზღვა ლურჯად გაწოლილიყო.

ანჯალი ზღვისკენ გაემართა. მას აკვირვებდა ადამიანთა რაოდენობა. თუმცა ბევრჯერ გაუფონია ბაბუასაგან, რომ არსებობენ ქალაქები მრავალი მოსახლეობით, მაგრამ ეს მაინც საოცრება იყო მისთვის.

სპილო ზღვასთან შეაჩერა. ანჯალი ჩამოხტა, სწყუროდა და წყალს დაეწაფა, მაგრამ იმწამსვე მოშორდა; მლაშე წყალმა გული აურია.

„ეს რა საოცრება ყოფილა“, — გაიფიქრა მან. ყველაზე უფრო მაშინ გაოცდა, როცა ზღვისპირად მდგარი ხომალდები დაინახა, ხომალდებს ზღვაში ღუზები ჩაეშვით და განძით იტვირთებოდნენ.

ანჯალი იქით გაემართა.

ინდოელები ტვირთავდნენ გემებს დიდი ყუთებით, მათ თავზე თეთრკანიანები ადგნენ და ხელში გრძელ მათრახებს ათამაშებდნენ.

— ეი! შავო თხუნელავ, სად მოგყავს სპილო! — შეუყვირა ერთმა მათგანმა ანჯალს და მათრახი გადაკრა.

სისხლი აემღვრა მამაცი ხოჯაკის შვილს. სპილოდან გადმოხტა და თეთრკანიანისაკენ საჩხუბრად გაიწია. არ მიუშვეს და ხელები შეუკრეს.

— გამოაბით წელზე ჯაჭვი და ამუშავეთ! — დაიღრიალა ყველაზე მსხვილმა თეთრკანიანმა.

მისცვიდნენ ანჯალს. წელზე გამოაბეს რკინის ჯაჭვი და ვეებერთელა ყუთი აჭიდეს.

— მიჰყევი ამით! — იყვირა მსხვილმა თეთრკანიანმა და მომუშავე ინდოელებზე ჯაჭვით გადაბმული ანჯალი მათ გააყოლა.

ძლივს აითრია ბიჭმა მიძვე ყუთიდან. ზანტად, უნებლიეთ მიჰყვა მტვირთავ ინდოელებს. საშინელი მოსხლეტა იგრძნო. ფეხებით რალაცას გამოედო, წაფორჩილდა და მიწაზე დაენარცხა. მიძვე ყუთმა ნეკნები ჩაუმტვრია. სისხლმა შეღება რკინის ჯაჭვი.

ანჯალი უპატრონოდ მიატოვეს.

გემიდან მომავალი ორი ინდოელი შეჩერდა მომაკვდავთან. ერთმა მათგანმა, წელში მოხრილმა და სახედაღარულმა, ხელები კისერზე მოხვია ანჯალს, ოქროს ყელსაბამს დახედა და თვალეზი აეცრემლა.

— ანჯალ, შვილო! — ამოიხრიალა მან.



მეტი არაფერი უთქვამს, გულზე მიიკრა იგი.

ანჯალმა თვალეზი გაახილა, უკანასკნელად შეხედა წელმოხრილ ინდოელს, ტუჩები ამოძრავა, თითქოს თქვა — მამა!

— შვილო! — დაიღრიალა მამაცმა ხოჯაკმა და დაკოცნა შვილის გაცივებული ბაგეები. თვალეზი ცრემლებით ავესო.

ღიან, სტიროდა ინდოელი ვაჟაკი, რომელსაც არასოდეს არ უტირია. იგი ბარბაცით გაემართა მსხვილ თეთრკანიანისაკენ.

— ო, სერ, იგი დაიბადა თავისუფალი. მას ისეთი პატარა გული ჰქონდა, ისეთი დიდი გრძნობა, რომ ოქროს ჯაჭვს ძლივს ატარებდა. ო, სერ, მოხსენით მას რკინის ჯაჭვი, ღვთის გულისათვის მოხსენით...

ამაყმა თეთრკანიანმა ზვიადად გახედა ზღვას და უყურადღებოდ დასტოვა მამის მუღარა.



განახლებულ ფოთში

მნათობი ნელა ეშვება ზღვისკენ,
 თითქო ხანძარი ჩნდება დასავლით
 და შუქი ჰკვეთავს ღრუბელთა სისქეს
 ზღვის უზარმაზარ შუქურასავით.
 მოდის ქალაქში საღამო მშვიდი,
 ზღვაზე დგას ღრუბელთ კოშკი
 მთებური,
 ქუჩას ამშვენებს ახალი ხიდი —
 ხუთწლედის შუქით განათებული.

ბრწყინავს და ელავს ქუჩები სწორი,
 შუქმოსილია ზღვისებრ ქალაქი
 და მოედნიდან გასცქერის შორით
 საყვარელ ქალაქს ბრძენის ქანდაკი.
 წყნარია ბალი, ალამი ელავს,
 ზღვაზე იშლება სხივთა ქსელები
 და ეფინება სახეზე ბელადს
 ახალ კოლხეთის ცისარტყელები...



გიას საიდუმლო

წამოვხტი და ვიცვამ წინდებს,
 ბებია კვლავ მეუბნება:
 — სამი წელი გინდა კიდევ,
 რომ მიიღო ხმის უფლება.
 რატომ ჩქარობ, რად მოდიხარ!
 ჯერ ღამეა, ძლიერ ყინავს! —
 ტყემლიდან მის მართალ სიტყვას
 მამლაყინწამ დააყივლა.
 გამოეწყო ბები კოხტად,
 თუმც ოღნავად ჩემზე გვიან,
 თბილი თავშლით შეიბურა,
 რომ ვერ ევნო ქარს და ნიავს.

და გავყევი საარჩევნო
 უბნისაკენ უთენია...
 მთვარის შუქზე ბებოს ჩეროს
 ჯერ ასე არ უფრენია.
 მიდის ჩქარა, თან რაღაცებს
 ჩურჩულებს და ამბობს ნელა:
 — დღეგრძელობა იმ ბრძენ კაცებს,
 ვინც ქვეყანა ასახელა. —
 მე არ მინდა რამე ვუთხრა,
 მხოლოდ ჩემთვის ვფიქრობ მარტო:
 როცა ბებო მივა ყუთთან,
 უცებ უნდა გადავხატო.

გიორგი ლეჟავა



1821 წლის 9 იანვარს იაროსლავლის გუბერნიის დაიბადა დიდი რუსი სახალხო პოეტი ნიკოლოზ ალექსისძე ნეკრასოვი.

ნეკრასოვი თავადაზნაურული წრიდან იყო გამოსული, მაგრამ იგი ადრევე გაემიჯნა თავის წრეს და რუსეთის ჩაგრული ხალხის ტანჯვა-ვაების მგოსანი გახდა. „მე მოწოდებული ვიყავი იმისათვის, რათა ამეწერა, განსაცვიფრებელი მოთმინების ხალხო, შენი უსაზღვრო ჩაგრა“, — წერდა ნეკრასოვი.


ნეკრასოვის მამა დესპოტი მებატონე იყო, დედა კი — განათლებული და სათნო ქალი. პოეტის მამა რისხვად ევლინებოდა არა მარტო გლეხკაცობას, იგი ცოლის მიმართაც უხეში და მკაცრი იყო. ნიკოლოზს არაერთხელ და ორჯერ უნახავს თვალცრემლიანი დედა, რომელიც ქმრისაგან ნაცემი და შეურაცხყოფილი ჩუმად ტიროდა.

გრემნიოვო, სადაც ბავშვობა გაატარა პატარა ნიკოლოზმა, მდინარე ვოლგას მახლობლად მდებარეობს. ნეკრასოვი მთელ დღეებს თავის საყვარელ ვოლგას ნაპირებზე ატარებდა. აქ გაეცნო იგი ხალხის მძიმე ცხოვრებასა და ტანჯვა-ვაებას; აქ ხედავდა შრომისაგან მოქანცულ ბურღაკებს, ისმენდა მათ ნაღვლიან სიმღერებს, რომლებიც გულის სიღრმემდე სწვდებოდა და ამფოთებდა მის მელღვარე სულს.

ნეკრასოვმა ლექსების წერა 7 წლიდან დაიწყო. თავისი პირველი ერთ ტაეპიანი ლექსი მან დედას მიუძღვნა, ხოლო თერთმეტი წლისამ დასწერა სატირა თავის ძმაზე, რომელიც მეტისმეტად გატაცებული იყო კოპწიაობით. ნიკოლოზი მკვირცხლი და შეუპოვარი ბავშვი იყო. ცხენზე ჯდომის სწავლისას თვრამეტჯერ გადმოვარდა ცხენიდან, მაგრამ მარცხს არ შეუშინდა, გულმოდგინედ ვარჯიშის შედეგად იგი ისე დაეუფლა ცხენოსნობას, რომ შემდეგში მას აღარ ეშინოდა გაუხედნავი კვიცისაც კი.

ნეკრასოვი თერთმეტ წლამდე სოფლად იზრდებოდა, შემდეგ იგი მიაბარეს ივანა-ზიაში. პოეტმა ვერ აიტანა აქ გამეფებული მკაცრი რეჟიმი. მალე იგი გამოირიცხეს გიმნაზიიდან.

1838 წელს ნეკრასოვი, წინააღმდეგ მამის სურვილისა, რომელიც შეიღოს სამხედრო კარიერისათვის ამზადებდა, პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა. შეიღის სიურჩით განარისხებულმა მამამ ფულადი დახმარება შეუწყვიტა მას, რის გამოც სტუდენტი ნეკრასოვი მძიმე ეკონომიურ სივიწროვეს განიცდიდა და იძულებული გახდა უნივერსიტეტისათვის თავი დაენებებია. „მე მაშინ



ძალიან ახალგაზრდა და ღარიბი ვიყავი. რეწლის განმავლობაში ვებრძოდი სილატაკე პირისპირ ვხედავდი სიკვდილს, რომელიც შიმშილისაგან მომელოდა, 24 წლის პასაჟე უკვე გატეხილი ვიყავი შრომით ლუკმა-ბურის ძებნისათვის“. — ასე აღწერდა პოეტ შემდეგ თავისი დუხჭირი ცხოვრების ამ პერიოდს.

პოეტს ბავშვობიდანვე გატაცებით უყვარდა ნადირობა. ამ გზით პოეტი მრავალ გლეხის ოჯახს დაუახლოვდა. ნადირობდროს მიღებული ღრმა შთაბეჭდილებები და განცდებით აღვზნებულმა პოეტმა დაწერა ლექსები „კორობენიკი“, „გლეხი შვილები“, „სალდათის დედა არინა“.

— ჩემი ლექსი რომ ყალბი არ ყოფილყო, — იგონებდა პოეტი შემდეგში, — მამედენჯერმე მივედი არინასთან, გავამეორებინე მისი დარღისა და მწუხარების ბავი.

1839-1840 წლებში გამოვიდა ნეკრასოვი ლექსების პირველი კრებული „ოცნება და ხმები“, რომელიც ბელინსკიმ სასტიკად გააკრიტიკა, მაგრამ ასეთმა მარცხმა არ შეშინა ახალგაზრდა პოეტი. იგი გაემართა ბელინსკის მიერ ნაჩვენები ჰემარითი გზით.

მეფის თვითმპყრობელობასთან შეუღობად
ლი ბრძოლის გზით.

„სიყვარულს ჭეშმარიტება უნაგაროდ და
უსაზღვროდ, ყველაზე მეტად, სხვათა შო-
რის შენს თავზე მეტადაც“. — ასეთი იყო
სიმართლის მქადაგებელი პოეტის დევიზი.

ნეკრასოვი თავის ლექსებში მეფის თვით-
მპყრობელობის და შემამულეების მიერ
მშრომელთა მასების ჩაგვრის ნათელ სუ-
რათს იძლევა. მეფის უზარმაზარი რუსეთის
ტერიტორიაზე პოეტს არ ეგულება კუთხე,
სადაც მშრომელი გლეხი არ გმინავდეს მე-
ბატონეთა ტანჯვისაგან.

„დამისახელე თუნდაც ერთი კუთხე ისეთი,
არ მეგულება, არ მინახავს მე არასოდეს,
რომ მხვენელ-მთესველი დაჩაგრული არ

იყოს ბედით,
შენი მფარველი რუსი გლეხი არა

კვნესოდეს.
ო, ვოლგავ! ვოლგავ! უხვეწყლიანო

გაზაფხულისას
ისე ვერ ავსებ ნიაღვარით შენს ველს და

ყანას,
როგორც უდიდეს მწუხარებით ხალხის

გულისა
ავსებულია წამებული ჩვენი ქვეყანა“.

პოეტის ლექსები მახვილივით ხვდებოდა
ყველას, ვინც კი მონაწილეობას იღებდა
ხალხის ჩაგვრაში. იგი არა ერთგზის დაუ-
ბეზღებიათ მეფისა და ქანდარმერიის წი-
სეზე.

1845 წელს ნეკრასოვმა ბელინსკის წაუ-
კითხა თავისი ლექსი „გზაში“, სადაც მოცე-
მულია გლეხთა მძიმე ცხოვრების რეალის-
ტური სურათები. ამჯერად აღტაცებულმა
ბელინსკიმ ნეკრასოვს უთხრა: „თქვენ იცით,
რომ პოეტი ხართ, ჭეშმარიტი პოეტი!“

განსაკუთრებით აღსანიშნავია ნეკრასო-
ვის ლექსები — „მივიწყებული სოფელი“,
„თავისუფლება“, პოემები — „ყინვა ცხვირ-
ითელა“ და „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარ-
დად“. ნეკრასოვის ამ ნაწარმოებებით რუსე-
თის ლიტერატურის ისტორიაში ახალი ეპოქა
დაიწყო, რომელიც რეალისტურად ასახავს
სტეფის რუსეთში, ამ „ხალხთა საბურობილე-
ში“ მომწყვდეული რუსი გლეხების ცხოვ-
რებას.

ნეკრასოვი იყო არა მარტო პოეტი, არა-
მედ საუკეთესო პუბლიცისტიც. მას აგრეთ-
ვე დიდი დამსახურება მიუძღვის რუსული
ქურნალობის განვითარების საქმეში.

1847 წელს იგი ხელმძღვანელობს ქურნალ
„სოვრემენიკს“. ეს იყო ახალი თაობის რე-
ვოლუციური ტრიბუნა. აქ მუშაობით იგი
უახლოვდება ცნობილ რუს რევოლუციო-
ნერ დემოკრატებს ჩერნიშევსკისა და დობ-
როლიუბოვს. 1868 წელს ნეკრასოვი მეორე
ქურნალს „ოტჩენსტვენიე ზაპისკის“ უდგე-
ბა სათავეში.

ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ერთერთი
„უძველესი დემოკრატის“ ნიკოლოზ ნეკრა-
სოვის პოეზიას. ლენინი ხშირად იყენებდა
თავის გამოსვლებსა და სტატიებში ციტა-
ტებს ნეკრასოვის ლექსებიდან.

ნეკრასოვი თავისი ქვეყნის მგზნებარე
პატრიოტია. მას გატაცებით უყვარდა თავი-
სი სამშობლო და სწამდა მისი მომავალი.

„ვით დედის ტანჯვას და მწუხარებას
მშვიდად ყურებას ვერ შესძლებს შვილი,
ვერც მოქალაქე შესძლებს ნამდვილი
სამშობლოსათვის იყოს გულგრილი.

კვლავ უმწარესი სად არის დარდი,
სამშობლოსათვის ცეცხლში ჩაგარდი.

მოკვდი რწმენისა და ტრფობისათვის,
მოკვდი ამაყად დაუძრავგელი“.

ეს სტრიქონები დიდ სამამულო ომში
რწმენასა და გამბედაობას მატებდა ჩვენი
ქვეყნის სახელოვან პატრიოტებს.

1878 წლის 8 იანვარს შესწყდა რუსი გლე-
ხის გულის მესაიდუმლოს ნ. ნეკრასოვის მა-
ჯისცემა. მის დასაფლავებაზე, რომელიც დე-
მონსტრაციად გადაიქცა, დიდძალმა ხალხმა
მიიღო მონაწილეობა. დასაფლავებას დაესწ-
რო ჩვენი მგოსანი აკაკი წერეთელი, რო-
მელმაც ქართველი ერის სახელით თანაუგრ-
ძნო რუს ხალხს.

ნ. ნეკრასოვის გარდაცვალებიდან 70
წლისთავზე მთელი საბჭოთა კავშირის ხალ-
ხებმა სიყვარულით აღნიშნეს სახალხო პოე-
ტის ხსოვნა.

თ. საჯანია





კოტე მესხია და მისი „ხინჩლა“

მოგონება*

დათბა. ქალაქს გაზაფხულის სურნელმა მოედო, ჩიტების ურიაშული გაძლიერდა, მზის სხივები ალერსიანად ევლებოდნენ ხეებს, ნუშმა ყვავილი გამოიღო. ხინჩლა შეწუხდა.

— ძია კოტე, გამიშვი რა! აქ რას ვაკეთებ? პური მომაქვს, სხვა ხომ არაფერი! სოფელში გამიშვი, რა!

— რა გინდა სოფელში, ბიჭო, აქ არ გირჩევნია? აქ სწავლას დაგაწყებინებ, განათლებული კაცი გახდები. თუ ძალიან გინდა სოფელში წასვლა, დროებით წადი, იქაურობა ინახულე და დაბრუნდი.

კოტეს ყოყმანი დაეტყო.

— ვახ! სოფელში ბევრი სამუშაო მაქვს. ჩემს საქმეს ვინ გააკეთებს? ე ბოსტანი, ე პატარა ყანაც... ჩემსავე ვინ მოუვლის? გამიშვი, რა!

— კარგია, გეყოფა, არასადაც არ გაგიშვებ!

— ვახ! ეს რა ყოფილა! თუ არ გამიშვებ, ეს ფეხები ხომ ჩემია! მე თვითონ წავალ!

— გზას ვერ გაიგნებ, ბიჭო.

— იხ! კარგად ვაგონებ! ერთხელ ხომ ჩამოვედი!

კოტე გაჯავრდა და თეატრში წავიდა. ამის შემდეგ ხინჩლა ერთხანს არ აწუხებდა ხვეწნით, ეტყობოდა, რომ კოტეს დიდი პატივისცემა და მორიდება ჰქონდა.

დადგა ნამდვილი გაზაფხული. ხინჩლა ჩვეულებრივზე უფრო ნაღვლიანობდა, მაგრამ მას არ იღებდა.

ერთ დღეს, მოულოდნელად, კოტესთან მარტყოფელი გლეხი ჩამოვიდა, კოტეს სიდერის ნაცნობი. თბილისში რაღაც საქმე ჰქონდა.

ხინჩლა შეწუხდა.

— მარტყოფიდან ჩემს სოფელამდე ნახევარ-

რი დღის სავალია. აი, ამ ძიას გავყვები, დამე მარტყოფში დავრჩები, მეორე დღეს გათენებისას გზას შევუდგები და სადილობისას შინ ვიქნები. ჰა, ძია კოტე, წასვლა შენი თანხმობით მინდა. არც მგელი შემჭამს, არც კაცი შემაწუხებს. ჰა, ძია კოტე!

კოტე მოიღუშა და არაფერს ამბობდა, მაგრამ ხინჩლა არ ეშვებოდა. მის ხმაში ისეთი კაემანი იყო, რომ კოტემ ნატო გამოიხმო და უთხრა: — ეს ბიჭი შვილივით შემეყვარდა, მინდოდა სწავლა-განათლება მიმეცა, კარგ გზაზე დამეყენებინა, მაგრამ მისი ბუნება ჩემს სიყვარულზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. უნდა გავუშვა, თორემ სულით დაჭკნება, ან ბოროტი გახდება. გავუშვებ, მაგრამ გული მტკივა.

— მოდი აქ, ხინჩლა! თუ ძალიან გინდა წასვლა? წადი, მაგრამ თუ დაბრუნებას მოინდომებ, მოდი, შვილივით მეყოლები...

ხინჩლა სიხარულისაგან ცას ეწია.

სამი დღის შემდეგ კოტემ და ნატომ მოუშხადეს ტანთსაცმელი, საგზალი და გაისტუმრეს.

— აბა, შენ იცი, ბედნიერად იყავი! თუ მოინდომებ, დაბრუნდი! — ამ სიტყვებზე კოტე ხინჩლას გადაეხვია და აკოცა, მეტი ველარაფერი უთხრა, ერთი სიტყვა კიდევ და ცრემლები წასკდებოდა.

ხინჩლამ კოტეს და ნატოს ხელი ჩამოართვა და დინჯად უთხრა: —

— პურ-მარილისათვის მადლობელი ვარ, თქვენც კარგად იყავით! — და მხიარულად გაყვა მარტყოფელ გლეხს. გავიდა თუ არა ქუჩაში, უცებ მოგვესმა მისი მხიარული „კეკ-უოკ“.

კოტე შეკრთა და მეტად დაღონდა.

ხინჩლა შემოდგომაზე არ დაბრუნებულა. არც ერთი წლის შემდეგ. არც შემდეგშიაც. მისგან არავითარი ცნობა არ ყოფილა. კოტე ხინჩლაზე ხმას არ იღებდა და მხოლოდ მა-

*) დასასრული, დასაწყისი იხ. უფრ. „პიონერის“ 1947 წლის № №10 და 12-ში.

შინ, როდესაც სასიკვდილოდ ავად იყო ან-
თებით და გრძნობა დაკარგული ჰქონდა,
ერთხელ დაიძახა:

— ხინჩლას... დამიძახეთ!

კოტე გარდაიცვალა. მრავალმა წელმა
გაიარა და მხოლოდ შარშან შემთხვევით გა-
ვიგეთ, რომ ხინჩლა მთელი ეს ხანი თავის
სოფელში ცხოვრობდა. კარგ, მოწინავე გლე-
ხად ითვლებოდა. ცოლი შეირთო, მაგრამ მა-
ლე დაქვრივდა. შვილები არ ყოლია. სამამუ-
ლო ომის დროს მტრის ვერაგობა ვერ მოით-
მინა და მოხალისედ ჩაეწერა ჯარში. მრავალ
შეტაკებაში მონაწილეობა მიიღო, მრავალ-
ჯერ იქნა დაჯილდოებული, მაგრამ დაჭრი-
რილი არც ერთხელ არ ყოფილა.

„—მტრის ტყვიამ თითქო აითვალისწუნა—
გვიამბობდა მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი.
—სადაც ვაშმაგებულ, ხელონათულ ბრძო-
ლას დაინახავდა, სწორედ იქ შეიჭრებოდა
და გამარჯვებული ბრუნდებოდა, შემდეგ
სადღაც მიიმალებოდა. როდესაც ამხანაგები
გამარჯვებას ულოცავდნენ, ჯავრობდა.

— ვახ! რას ჩამაცივდით! საამისო რა ჩავი-
დინე? ხუთი ტყვე მოვიყვანე, სხვა ხომ არა-
ფერი!

ჯილდოზე წარდგენის დროს ჩუმად იყო,
მაგრამ თვალები უციწოდა და იტყოდა:

— იხ!

— იცი, მეომარო, გუშინ მოყვანილმა
ტყვეებმა რა დაგარქვეს? — უთხრა ერთხელ
უფროსმა.

— მე რა ვიცი!

— კლავს ვალდ ტოიფელ!

— ეს რაღა არი!

— პატარა ტყის ქაჯი.

— იი! ეს რა სახელია!

— შენ მართლაც ნამდვილი ქაჯი ხარ, მხოლოდ იცოდე და დაიხსომე, ბრძანების
გარეშე, შენი პირადი სურვილით ბრძოლაში
ნუ ჩაერევი, არეულობას გამოიწვევ, გესმის?

— ვახ! შენი ბრძანების მოლოდინში
ვერც იმ სიმაგრეს ავიღებდი, ვერც ტყვეებს
მოვიყვანდი... — წაიბუზღუნა ხინჩლამ.

— ომის დროს ბრძანება და მორჩილება
მთავარია! — განუმეორა უფროსმა.

მაგრამ ხინჩლას ბუნება ბრძანებას ვერ
ემორჩილებოდა. ამხანაგები ხშირად ეუბნე-
ბოდნენ:

— სასიკვდილო ტყვიას ეძებ? შენს ქერქ-
ში დაეტიე, ფრთხილად იყავი, ბიჭო!

— იი, სიკვდილისთვის სადა მცალია! ვე-
რა ხედავთ, რამოდენა მტრები გვასევია? სა-
ნამ არ გაიჟლიტებიან, ვერ მოვისვენებ!


ერთხელ, ომის ბოლო წელს, ერთ პატარა
სიმაგრესთან ბრძოლის დროს მტრის ტყვია-
მფრქვევი ვერ გააჩუმეს. რაზმი იერიშის
ბრძანებას ელოდა. ხინჩლამ ვერ მოითმინა,
ტყვიასავით წინ გაგარდა, მეტყვიამფრქვევეს
მიეზარა და ვეფხვივით ყელში სწვდა. გერმა-
ნელი გამწარებით ეწინააღმდეგებოდა, მაგ-
რამ ხინჩლა არ ეშვებოდა, სანამ საბოლოოდ
არ დაახრჩო. ტყვიამფრქვევი დაჩუმდა, სამუ-
დამოდ გაჩუმდა ხინჩლაც.

— სჩანს, მის ბედს ერთი ტყვია მისთვის
შემოუნახავს! — დაამთავრა ნაამბობი ხინჩ-
ლას ამხანაგმა.

დარწმუნებული ვარ, კოტე რომ ცოცხალი
ყოფილიყო, იტყოდა:

— დიდება ჩემს გამბედავ, სამართლიანო-
ბის „უშიშარ რაინდს“! დიდება გმირს, რო-
მელმაც სიცოცხლე სამშობლოს შესწირა!






ძია მიხო

გაღმოკეთებული ს. მიხალკოვიდან

ცისფერ სახლში, რომელსაც
 ნომრად უზის რვიანი,
 ერთი კაცი ცხოვრობდა
 საყენახევერიანი.
 მიხო ერქვა სახელად,
 (მეტსახელად „ყვინი“,)
 მხიარული, გულღია,
 მშვიდი და არხეინი.
 სიტყვა ჰქონდა კეთილი,
 ტკბილი და მოთაფლული;
 მხოლოდ მიხო საოცრად
 იყო ენადაბჰული.
 არ მგზავრობდა ქალაქში
 ტრამვაით და ეტლითა,
 გზებში მიალაჯებდა,
 სჩანდა კილომეტრიდან.
 ყველამ მყისვე იცოდა
 ვინ მოდის და რომელი,
 წალა ეცვა არშინი,
 შეიღვერ-შვიდი ნომერი
 ჭამას დღეს რომ იწყებდა,
 აგრძელებდა ხვალიცა;
 ყველგან, ყველგან ეძებდა
 თავის სარგო ხალათსა.
 შეიძენდა, იცვამდა
 ტანზე ძალის-ძალათი,
 მაგრამ ნაკერავებში
 ირღვევოდა ხალათი.
 ხალხს ჰფარავდა კინოში
 მეთორმეტე კაცამდი,
 უყვიროდნენ: — ხელს გვიშლი,
 იატაკზე დაბრძანდი.
 სტადიონზე ბილეთი
 არასდროს არ ჰქონია,
 გაუშვებდნენ, ამბობდნენ
 „ალბათ ჩემპიონია“.
 სიგრძით ეჯიბრებოდა,
 როცა ბოძთან დგებოდა.
 ზედ ნათურას ჰკიდებდა.
 კიბე არ სჭირდებოდა.
 პარადებზე ბალღების
 იყო ხვეწნა მარადი:
 — ძია მიხო, აგვიე,

დაგვანახე პარადი.
 ყოველ ზეიმს ნახავდა,
 არ უნდოდა საშვები...
 ძია მიხო უყვარდათ,
 გიჟდებოდნენ ბავშვები.
 ცხვირს რომ აცემინებდა,
 იყო თვალის სერიი:
 — ძია მიხო, იცოცხლე,
 ძია მიხოს სერიი.

მოდის გლეხი სახედრით,
 სტვენით გულარხეინი, —
 სახედარზე სუმრობით
 შეჯდა მიხო ყვინი,
 ხალხი ჰყვირის: — რა ჰქენი?
 მოუყვანეთ აქლემი!





მოუყვანეს აქლემი,
შეჯდა მიხო ყეინი,
ჩაიარა მხედრულად
ქუჩა მწვანე ხეივანი;
ხალხი ჰყვირის: — რა ჰქენი?!
გაიჰყლიტა აქლემი!


მიხო ტირში შევიდა,
მიზნობაში ერთობა.
— უნდა ნიშანს ვესროლოდ
მომაწოდეთ ხელთოფა,
მოემზადეთ ტაშისთვის,
უნდა მოვკლა ფაშისტი.
გამეგ ჰყვირის: — გადამრეგ
ღელა ნუ წამიწყდება,
ეს მე ჯერ არ მინახავს
ღმერთი ნუ გამიწყრება,
ამას თოფი რად უნდა,
ნიშანს ხელით მისწვდება

მიღის მატარებელი
დაღლილ-დაოსებული,
მემანქანე ცეცხლფარეშს
უხმობს გაოცებული:
— ერთი ამ გზას გაჰხედე,
ერთი მითხარ სწორიო:
როდის დადგეს ამ ადგილს,
ნეტავ, სემაფორიო?
შედგნენ....
— ვინ ხარ, რა მოხდა,
გზა რად გადალობილა?
სემაფორი არა ჩანს,
ძია მიხო ყოფილა.
მიხო ამბობს: — ვმოქმედე
ვით რიგი და წესია,

ნახეთ, აგერ ნიაღვარს
გზა სულ გადაუღლესია.
ჯერ გზა გავხსნათ,
სად წავა
თბილისი და გორიო,
მიტომ ვდგევარ ამ ადგილს
როგორც სემაფორიო.

ეს რა კვამლი ავარდა?
წამო სანახავადა.
გარე უბნის ქუჩაზე
სახლი იწვის მაღალი,
არის წივილ-კვილი,
არის აყალ-მაყალი.
ხის კედლები იწვიან
როგორც ძველი ჩითები,
მაღლა ბავშვებს გალიია
ღარჩენიათ ჩიტები.
ცრემლიანი ბავშვები
მიხოს ეხვეწებიან:
— ძია, ჩვენი ჩიტები
ნუთუ დაიწვებიან?
მიხომ ხელი აღმართა
დინჯად, გულდამწვიდები
მისწვდა, გახსნა გალია,
გამოფრინდნენ ჩიტები.
მიხოს ეჩურჩულება
მეხანძრეთა რაზმელი:
— ნახე, ჩვენთვის ეს საქმე
რა მიძიმა, რა ძნელი!
შენთვის კი თამაში...
გახდი ჩვენი რაზმელი...
მიხო ამბობს: — არა მსურს
მე მაგგვარი ხუმრობა,
ტანმა თუ არ დამჩაგრა,
მინდა მეზღვაურობა.

ღერეფანში ექითან
არის სიცილ-ხარხარი:
— გასასინჯათ მოვიღ-
აქლემების მაყარი.
ვერ სწვდებიან წელამდე
იატაკზე აჯენენ,
სკამზე დგება ექიმი:
— აბა გული მაჩვენე!
ექთანებაც მოვიდნენ,
მედიცინის ქალები:
— ყურებს ხომ არ გაკლია?
როგორი გაქვს თვალები?
ზოგი კვდება სიცილით,
ზოგი თავსაც აწონებს,
აყვანეს სასწორზე
გაზომეს და აწონეს.
უთხრეს: — განა ვაყი ხარ,
შენ სტამბოლის კაყი ხარ!
მაგრამ რა ვქნათ, ტანკისტად
არ შობილხარ განგებით,



მიხოს დიდი მადლობა,
წითელ დროშის ორდენი.

გადის ოთხი ზამთარი,
აპრილიც და მაისიც,
მაგრამ ძია მიხოსგან
უკვე ცნობაც არ ისმის.
დაღვრემილან ბავშვები:
— ეგრე ჩუმად რაღა ხარ?!
ხომ არ მოგკლეს მხეცებმა,
ძია მიხო, საღა ხარ?
რომელ მხარეს გეძებოთ,
რად მოჰკალით მხეცებო!
მაგრამ სახლთან, რომელსაც
ნომრად უზის რვიანი,
გუშინ კაცი გამოჩნდა
საყენახვერვანი.

ვერვინ იცნო ვინ არის,
ან რა ჰქვიათ სახელად,
რომელ ზღვიდან მოვიდა
მეზღვაური ამხლა.

დაფერილი წაღები,
უახლესი ხალათი,
დაბალ ქუდზე უელავს:
ნაღმოსანი „მარატი“.

იგი სახლთან მივიდა,
არ დასჭირდა მოგნება,
დაეხვივნენ ბაღლები:

— ამხანაგო, ვინ გნებავთ?
გამარჯვებულ მეზღვაურს
შემოერტყენ გარშემო;
ძია მიხო იძახის:

— ვერ მიცანით, ბავშვებო?

— ძია მიხო მოსულა! —

ატყდა ერთი ყიყინა;

— მისი ომში დაკარგვა,

აბა, ვინ დაიყინა!

ძია მიხო აქ დარჩი,

ფეხს ნუ გააბიჯებო,

აბა, ტაში, დაირა,

გოგოებო, ბიჭებო!

მყისვე ქუჩას მოედო

ძახილი და ხმაური,

სალამომდე გაბმული

იღვა აურხაური.

ახლა მიხო აქ არის

და კვლავ ახალ ამბებით

წინ ხვდებიან ბავშვები:

— ძია, როგორ ბრძანდებით?

ცხვირსაც რომ აცემინებს,

არის თვალის სეირი:

— ძია მიხო, იცოცხლე,

— ძია მიხოს ხეირი.

ქვეყნათ არ არსებობენ
შენი სარგო ტანკები.

ქვეითში კი მტრის თვალგზს
ვერსად დაემალეები,
თვითმფრინავშიც ... ჰა, ჰა, ჰა, —
კისკისებენ ქალები.

— ცხენოსნად რომ წახვიდე,
სად წაიღებ ფეხებსო,
ისევ ზღვით უდარაჯე
ჩვენს მუშებს და გლეხებსო.

— მეც ეგ მინდა, მზადა ვარ,
ძალმიძს სამსახურით,
მანვილი მაქვს ყურით,
ეხდები მეზღვაურით.

ზღვას ასხია ტალღები
როგორც სპილოს ყურები,
გემზე დგანან დარაჯად
გმირი მეზღვაურები.

ჩვენი მიხოც გემზეა,
არ იღლება სრულებით, —

მტრისკენ იმზირებიან
ზარბაზნებძს ლულები.

უცებ მიხო რას ჰხედავს?!
განა სანახავია?

წყალზე პერისკოპი ჩანს,
ეს წყალქვეშა ნავია.

მიხო მისწვდა ზარბაზანს,
მეხი მეხზე გავარდა,

იძირება მტრის ნავი,
მოღით სანახავადა!

ნავი ფსკერზე წავიდა
დიდი სახლის ოდენი...





ქალაქის დაკარგვის ისჯვრიზა

ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში იქ, სადაც ახლა ქალაქი სევასტოპოლია გაშენებული, აღმოცენდა საბერძნეთის კოლონია „ხერსონესის“ სახელწოდებით. როგორც სავაჭრო და სამრეწველო ქალაქი ხერსონესი შორეულ წარსულშივე იყო ცნობილი რუსთათვის კორსუნისა სახელით. მონღოლთათართა შემოსევის შედეგად ქალაქი განადგურებულ იქნა, მისგან ნანგრევებიღა დარჩა.

შემდეგ აქ წარმოიშვა თათართა დასახლებული პუნქტი დაბა ახტიარი.

1783 წელს დაბა ახტიარის ადგილზე, ეკატერინე მეორის მითითებით დაარსდა ქალაქი და ნავსადგური, რომელსაც სევასტოპოლი (ბერძნულად — „დიდებული ქალაქი“) უწოდეს. 1797 წელს პავლე I-მა ქალაქს კვლავ ძველი სახელი დაუბრუნა. მაგრამ მეფის სიკვდილის შემდეგ ქალაქმა ისევ სევასტოპოლის სახელი მიიღო.

მე-18 საუკუნის ბოლოს რუსეთი მტკიცედ იკიდებს ფეხს შავი ზღვის სანაპიროზე. შავი ზღვის ფლოტის მთავარი ბაზა — სევასტოპოლი სწრაფად იწყებს განვითარებას, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის ადმირალ უშაკოვს.

1809 წელს სევასტოპოლი ოფიციალურად სამხედრო სიმაგრედ გამოცხადდა.

ყირიმის ომის დაწყებისას სევასტოპოლში უკვე 45 ათასი მცხოვრები ითვლებოდა.

„აუსეთის ვარაღ“

გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში დაიწყო რუსეთთურქეთის ომი. სევასტოპოლს ყოველდღიურად ხიფათი დასტრიალებდა თავს, სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ სწორედ ყირიმის სამხრეთ ნაწილში — სევასტოპოლში მოხდებოდა გამაწყვეტი შეტაკება რუსეთსა და მის მო-

წინააღმდეგე ბანაკს შორის — საფრანგეთის, ინგლისისა და თურქეთის სახით.

349 დღე და ღამე გაგრძელდა სევასტოპოლის დაცვა (1854-55 წ. წ.). განსაკუთრებით დიდია ის როლი, რომელიც ქალაქის დაცვის საქმეში შეასრულეს გამოჩენილმა რუსმა ადმირალებმა: კორნილოვმა, ნახიძოვმა, ისტომინმა, სამხედრო ინჟინერმა ტოტლებენმა, მატროსებმა: პეტრე კოშკამ, შვეჩენკომ, სამოკატოვმა და ათასობით სხვებმა.

მათ შექმნეს სევასტოპოლის დიდი ეპოპეა, რომელსაც მტერმაც კი, ომის დამთავრების შემდეგ, ჰომეროსის უკვლავი ქმნილების „ილიადას“ მაგალითზე „რუსეთის ტროადა“ უწოდა.


ეს იყო სევასტოპოლის პირველი გმირული დაცვა...

1855—1905 წლები

ომის დამთავრების შემდეგ სევასტოპოლი თითქმის მთლიანად დაინგრა. ქალაქში სულ 14 შენობა-ღა დაარჩა დაუზიანებელი. ლოზოვია-სევასტოპოლის რეინიგზის გაყვანის შემდეგ ქალაქი სწრაფად იწყებს აღდგენას.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ქალაქში არსდება „ნაროდოვოლცების“ პირველი წრეები, რომელთაც სოფია პეროვსკაია ხელმძღვანელობდა. 90-იანი წლების მიწურულში სევასტოპოლში ჩამოყალიბდა მარქსისტული წრეები, ხოლო 1902 წელს დაარსდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (რსდმპ) სევასტოპოლის მუშათა კავშირი.

1905 წელს, ისევე როგორც მთელ რუსეთს, სევასტოპოლსაც მოედო მღვლეარებათა და რევოლუციურ გამოსვლათა ძლიერი ტალღა. ნოემბერში იფეთქა გაფიცვამ და მღვლეარებამ ხომალდებზე და გარნიზონის ნაწილებში. შეიქმნა მუშათა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭო, რომელიც სათავეში ჩაუდგა მოძრაობას. გა-



ფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და შავი ზღვის ფლოტის 1905 წლის ცნობილ სევესტოპოლის აჯანყებად იქცა.

სევესტოპოლის აჯანყება

1905 წლის ნოემბერში შავი ზღვის მთელი ფლოტი აჯანყების ქარცეცხლში გაეხვიდა. სევესტოპოლში სტიქიურად წამოჭრილ აჯანყების ცენტრში ლეიტენანტი შმიდტი მოექცა. პეტრე პეტრესძე შმიდტი შეიყვარეს სევესტოპოლის მშრომელებმა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა და ფიცი ოქტომბრის დღეების მსხვერპლთა საფლავზე.

27 ნოემბერს კრეისერ „ოჩაკოვის“ ანძაზე აფრიალდა წითელი დროშა და ლეიტენანტმა შმიდტმა ჩაიბარა აჯანყებული ფლოტის მეთაურობა. მას ხალხმა „წითელი ლეიტენანტი“ უწოდა. აჯანყება სულ რამდენიმე დღე გაგრძელდა. მეფის მთავრობამ იგი მთელი თავისი ჩვეული სისასტიკით სისხლში ჩაახრჩო. 400-მდე რევოლუციონერი მეზღვაური და მეთაური სამართალში იქნა მიცემული. მრავალი მეზღვაური და ჯარისკაცი გადასახლებულ იქნა. 1906 წლის 5 მარტს სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ლეიტენანტ შმიდტს და მეზღვაურებს — ჩასტნიკს, ანტონენკოსა და გლადკოვს. 20 მარტს კუნძულ ბერეზინზე დახვრეტილ იქნა ოთხივე. სიკვდილის წინ ისევე, როგორც სასამართლოში, ლეიტენანტ შმიდტს და მის სამ თანამებრძოლს მამაცურად ეჭირა თავი.

„მე მსურდა მხოლოდ ბედნიერება და სიკეთე ხალხისათვის, მინდოდა მომეპოვებინა მისთვის მიწა, მოვიპოვე კი მხოლოდ სიკვდილი ამ უღებანო კუნძულზე“. — ეს იყო შმიდტის უკანასკნელი სიტყვები.

სამოქალაქო ომის პერიოდი

1918 წლის აპრილში გერმანელმა ოკუპანტებმა დაიკავეს ჯანკოი და სევესტოპოლისაკენ გაიჭრნენ. 1 მაისს მათ სევესტოპოლი აიღეს. ავსტრო-გერმანელ ოკუპანტთა ბატონობა ქალაქში შვიდი თვე გაგრძელდა. 25 ნოემბერს სევესტოპოლს მიაღდა უცხოელ ინტერვენტების ესკადრა და ქალაქს ფრანგი ჯარები დაეპატრონენ. იატაკქვეშეთის მძიმე პირობებში ბოლშევიკური ორგანიზაციები რევოლუციურ პროპაგანდას ეწეოდნენ ფრანგ ჯარისკაცებსა და მეზღვაურთა შორის 1919 წლის 15 აპრილს სევესტოპოლს საბჭოთა არმიის ნაწილები მიუახლოვდნენ. ფრანგმა მეზღვაურებმა ანდრე მარტის ხელმძღვანელობით თავიანთი ესკადრის გემებზე წითელი ალამი აღმართეს და უარი განაცხადეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ფრანგი ჯარებმა მთავარსარდლობა იძულებული იყო განეთავსებინათ თავისი ნაწილები ქალაქიდან. 30 აპრილს საბჭოთა არმია შევიდა სევესტოპოლში.

1919 წლის ზაფხულზე სევესტოპოლი დროებით დაიკავეს დენიკინელებმა. 1920 წლის 4 აპრილს სევესტოპოლში ფიცი მოიკიდა გენერალმა ვრანგელმა. ამავე წლის ზაფხულზე სევესტოპოლის მახლობლად დაიწყო პარტიზანული მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ი. დ. პაპანიანი იყო.

6-12 სექტემბერს საბჭოთა არმიის ნაწილებმა გამორჩენილი მთავარსარდლის მ. ვ. ფრუნზეს ხელმძღვანელობით იერიშით აიღეს პერეკოპი და ჩონგარი. ვრანგელის ჯარი ზღვაში იქნა გადაგდებული. 1920 წლის 15 ნოემბერს საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა სევესტოპოლი.

სამუდამოდ დარჩება კაცობრიობის ხსოვნაში დიდი სამამულო ომის დროს სევესტოპოლის გმირული თავდაცვა. 250 დღე და ღამე გააფთრებით ებრძოდა ალყაშემორტყმული გმირი ქალაქი მტრის აურაცხელ ბრბოებს. 250 დღე და ღამე გმირული საბჭოთა არმიის ნაწილები მსოფლიოს ყველა ომების ისტორიაზე უმაგალითო მამაცობითა და სიმტკიცით იცავდნენ საზღვაო სიმაგრეს. 250 დღე და ღამე ფეთქებოდნენ ვაზნები და ნაღმები, ზუზუნებდნენ ტყვიები, ბობოქრობდა სასტიკი ომი... მიწის ქვეშ კი შეუსვენებლად ხმაურობდნენ დაზვებები, ღრჭილით ესობოდა საჭრისი ლითონს, — სევესტოპოლის ახალგაზრდობა, კომკავშირელები იარაღს უმზადებდნენ ქალაქის დამცველებს.

თავისუფლებისმოყვარე მსოფლიო ალტაცებით ადევნებდა თვალყურს სევესტოპოლის გმირულ დაცვას. გმირი ქალაქის დაცვისას ჩვენი ჯარი მტრის ჯართა რაოდენობის ერთი მეხუთედიც კი არ იყო, მაგრამ საბჭოთა მეომრები სძლევდნენ მტერს არარიცხვობრივად, არამედ მოხერხებით, იშვიათი გმირობით, უსაზღვრო ერთგულებით პარტიისადმი, დედსამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი. სევესტოპოლის გმირთა ფოლადისებური სიმტკიცე ერთერთი უმთავრესი მიზეზი იყო, რომელმაც ჩამალა გერმანელების ყბადაღებული „საგაზაფხულო შეტევა“ 1942 წელს.

სევესტოპოლის ეპოპეა

... 1942 წლის 3 ივლისს, საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებით, ჩვენმა ჯარებმა დასტოვეს სევესტოპოლი. ძვირად

დაუჯდა გერმანელებს სევასტოპოლის აღება. მტერმა 300.000-დე გვამით მოჰყინა სევასტოპოლის ქუჩები, ყირიმის მიწა.

უკრაინის გმირები

განვლენ წლები, საუკუნეები, მაგრამ არასოდეს არ ამოიშლება ისტორიიდან № 11 საცეცხლე წერტის გმირული ბრძოლა. სამი დღე და ღამე ბატარა სიმაგრეიდან შვიდი მეზღვაური-კომკავშირელი მტრის ბატალიონს იგერიებდა. გერმანელების იერიში სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მტრის თვითმფრინავები შავი ყორნებივით თავს დასტრიალებდნენ ერთ მუჭა მამაცებს. ამ უთანასწორო ბრძოლაში ორასამდე შიტილერელი შემუსრეს მათ და ბოლოს შვიდივე გმირი — გრიგოლ რაენკო, მიხეილ პოგორელი, ივანე ერიომენკო, ვასილ მუდრიკი, ივანე ჩეტვერტაკოვი, გრიგოლ დოლია, უდორე კალიუენი — დაეცნენ ბრძოლის ველზე. მეოთხე დღეს, როდესაც საცეცხლე წერტს ჩვენი მეზღვაურები მიაღგნენ, მათ ასეთი შინაარსის წერილი ნახეს ერთრეთი მეზღვაურის გვამთან:

„სამშობლოვ ჩემო, მიწავ რუსეთისავე, საყვარელო ამხანაგო სტალინ! მე, ლენინურ-სტალინური კომკავშირის შვილი, მისი აღზრდილი ვიბრძოდი ისე, როგორც გული მიჩვენდა, ვანადგურებდი საზიზღრებს, სანამ ჩემს მკერდში გული ფეთქავდა. მე ვკვდები, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. მეზღვაურებო, შავზღველებო! იბრძოლეთ მედგრად, ანადგურეთ ცოფიანი ფაშისტური ძალები. მეზღვაურის ფიცი მე შეეასრულე. კალიუენი“.

სევასტოპოლის გმირ დამცველთა შორის უკვდავი სახელი მოიხვეჭა საბჭოთა კავშირის გმირმა, ქართველი ხალხის ღირსეულმა შვილმა ნოე ადამიამ, რომელმაც 200-ზე მეტ ფაშისტს მოუსპო სიცოცხლე.

დაუვიწყარი იქნება საბჭოთა კავშირის გმირის არკადი გეგეშიძის ლეგენდარული ბრძოლა. იგი ერთი მუჭა მეზღვაურებით მტრის სამ პოლკს შეებრძოლა და გამარჯვება მოიპოვა.

უმავალითო გმირობა გამოიჩინა საბჭოთა კავშირის გმირმა ქალიშვილმა ლიუდმილა პავლიჩენკომ, რომელმაც პირადად 309 შიტილერელი მოსპო.

საქვეყნო მოიხვეჭა სახელი ხუთი მეზღვაური-კომკავშირელის მამაცობამ.

ფრონტის ერთერთ უბანზე მტრის 15 ტანკი გამოჩნდა და შემოუტია საბჭოთა მეომრების პოზიციებს. გერმანელთა ჯავშანს წინ აღუდგა ხუთი გმირი მეზღვაური: ვ. ციბულკო, ი. პარშინი, ი. კრასნოსელსკი, დ.



სევასტოპოლი. „დიდების“ ძეგლი.

ოლინცოვი ოფიცერ ნ. ფილჩენკოს მეთაურობით. როდესაც გმირებს ტყვია-წამალი გამოეცლია, მათ წელზე შემოირტყვეს ხელყუმბარები, ჩაუვარდნენ მტრის ტანკებს მუხლუხებში და საკუთარი სიცოცხლის ფასად ააფეთქეს ისინი.

შიტილერელთა ოკუპაციის დროს სევასტოპოლში მოქმედებდა იატაკქვეშელთა ორი ჯგუფი. ერთი თვით ქალაქში, ხოლო მეორე — ტყვეთა ბანაკში. ისინი დიდ მუშაობას აწარმოებდნენ. უშვებდნენ გაზეთს „სამშობლოსათვის“, აწყობდნენ ტყვეების გაქცევას ბანაკიდან, მოსახლეობის დახმარებით აგროვებდნენ იარაღს და ემზადებოდნენ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. მაგრამ იატაკქვეშელების კვალს მტერმა მიაგნო. 1944 წლის 16 აპრილს გერმანელები სასტიკად გაუსწორდნენ მათ.

1944 წლის 10 მაისს, უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა არმიის გენერლის ტოლბუხინის მეთაურობით სამი დღის შეტევით ბრძოლების შემდეგ გაარღვიეს მტრის ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი ხაზი და იერიშით დაიკავეს სევასტოპოლი. ბრძოლებში განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს გენერლების: ზახაროვის, კრეიზერის, ჩანჩიბაძის ნაწილებმა და შავი ზღვის მამაცმა ფლოტელებმა.

სევასტოპოლის განთავისუფლება ჩვენი ქვეყნის გულმა — მოსკოვმა ქვემეხების 24 ზალპით ამცნო მსოფლიოს.

ნიკოლოზ ჯაუი



ქართველთა ცხენოსანი ლაშქრის მეთაურები—ზედა რიგში: ი. გ. ამილახვარი, ი. მ. ანდრონიკაშვილი, იასე ანდრონიკაშვილი.
ქვედა რიგში: დ. ვახვახიშვილი, გ. რ. ჯანდიერი, ნ. ზ. ქავჭავაძე.

ქართველთა ცხენოსანი ლაშქარი

1854 წლის გაზაფხულზე, როდესაც რუსეთი ეომებოდა თურქეთსა და მის მოკავშირეებს, გენერალ ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილის ჯარის ნაწილის შესავსებად საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ქართველთა ცხენოსანი ლაშქარი. ამ ლაშქრის მეთაურად დაინიშნა გიორგი როსების-ძე ჯანდიერი, რომელსაც განსაკუთრებული სიმამაცისა და ვაჟკაცობისათვის „დროშა გიორგის“ უწოდებდნენ.

ლაშქარი ექვს ასეულად იყო დაყოფილი. გარდა ამ ექვსი ასეულისა ლაშქარში შედიოდა კიდევ ერთი რაზმი, რომელიც მთლიანად მიქელაძეებისაგან შესდგებოდა. ამ რაზმს იმერეთის მეფის სოლომონ II-ის დროინდელი ძველი მეომარი ქაიხოსრო მიქელაძე მეთაურობდა.

პირველი ასეული ოსებისაგან შესდგებოდა. ისინი წითელი დროშებითა და წითელი ქუდებით გამოირჩეოდნენ. ასეულს გიორგი მაჩაბელი მეთაურობდა.

მეორე ასეული კახელებისაგან შესდგებოდა, თეთრი დროშებითა და თეთრი ფაფახებით. ამ ასეულს ზაქარია ანდრონიკაშვილი მეთაურობდა.

მესამე ასეული, მოოქროვილი დროშებით, მისმა მეთაურმა ნიკოლოზ ჭავჭავაძემ თელავიდან ჩამოიყვანა.


მეოთხე ასეულს ცისფერი დროშები ჰქონდა და თბილისელებისა და გორელებისაგან შესდგებოდა.

მეხუთე ასეულს შავი დროშები ჰქონდა და თუშებისაგან შესდგებოდა. მას სახელმოხვეცილი მეომარი ელიზბარიძე მეთაურობდა.

ბოლოს, მეექვსე ასეულს მწვანე დროშები ჰქონდა და საქართველოს უძველეს გვარეულობათა წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა. მეთაურობდა მას გიორგი ერისთავი.

მთელი ლაშქრის საერთო დროშა შავი ფერისა იყო, „ძღვევამოსილი გიორგის“ ფამოსახულებითა და ქართულ და რუსულ ენებზე წარწერებით.

ჩამოყალიბებისთანავე ქართველთა ცხენო-



სანი ლაშქარი რუსთა ჯარის დასახმარებლად გაემურა. მას წინ მიუძღოდა გიორგი ჯანდიერი, ძველებურ ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი და თეთრ ცხენზე მჯდომი.

1854 წლის 4 ივნისს ლაშქარი მტრის მთავარ ძალებს მიუახლოვდა. თურქთა 34 ათასიანი კორპუსს სელიმ-ფაშა მეთაურობდა. მტერი ძლიერი და ულმობელი იყო. მისი არტილერია გამანადგურებელი ცეცხლით უღობავდა გზას შეტევაზე გადასულ რუსთა ჯარს. რუსთა სარდლობის ბრძანებით ჯანდიერის ლაშქარს გზა უნდა გაეკაფა თურქთა ბატარიისაკენ და მწყობრიდან გამოეყვანა იგი. ჯანდიერმა გამოუძახა ღონით განთქმულ მედროშე ზაქარია ნატროშვილს და უბრძანა დროით ხელში წინ გაძლოდა ლაშქარს. ასეულები მოემზადნენ იერიშისათვის. იელვა ხმლებმა. ჯანდიერმა მოიხედა თავისი ლაშქრისაკენ და მაღლა აიჭნია ხმალი. უმაღლესი თეთრი ცხენი შურდულივით გაექანა მტრის განლაგებისაკენ. ასეულები ერთი-მეორეზე მიჰყვნენ გიორგი ჯანდიერს. თურქებმა მძლავრი ცეცხლი შეაგებეს ქართველ ცხენოსნებს. ქართველებმა დასცეს ყიჟინა, გადალახეს ცეცხლის არე და გახელებული ცხენებით შეიჭრნენ თურქთა ბატალიონებში. ქართველთა ქვეთება ისეთი ძლიერი იყო, რომ თურქთა პირველი წყება თავზარდაცემული უკუიქცა. მაგრამ მტერი მალე გონს მოვიდა და ქართველთ შემოუტია. ქვეითები ცხენოსნებში აირიენ, ისმოდა ხმლების ჩახახუბი, კვნესა, შეძახილები, აქა-იქ თოფის გასროლა.

ქართველები რკინის სალტესავით შემოეკრნენ თავის მედროშეს და შეუბოვარი ბრძოლით იკაფავდნენ გზას თურქთა რიგებში. მაგრამ ერთი მეორეზე ეცემოდნენ მამაცი ქარ-

თველები უთანასწორო ბრძოლაში. გადმოვარდა ცხენიდან ზაქარია ანდრონიკაშვილი მას მიჰყვნ ხმლებითა და ხიშტებით დაიჭნა ლი ვახვახიშვილი. ავერ შეტორტმანდა უნაგირზე ქაიხოსრო მიქელაძე, გაუვარდა ხელიდან ხმალი და ნელ-ნელა გადმოეშვა ცხენიდან...

მაინც არ შედრკნენ ქართველი მეომრები. მკლავმაგარი ნიკოლოზ ჭავჭავაძე ულმობლად ცეცხლავდა თავისი ხმლით თურქებს. მისი ხმალი განუწყვეტილად ელავდა ჰაერში. აი, უკვე ახლოსაა თურქთა ბატარია. უკანასკნელი ძალონის დაძაბვით, უკანასკნელი მძლავრი ნახტომით ქართველებმა მიადწიეს ბატარიას და აჩხეს თურქი არტილერისტები. დადუმდა მტრის ზარბაზნები და თურქთა ჯარმა იწყო უკან დახევა. ქართველთა ლაშქარს რუსთა ჯარი წამოეშველა და მალე სელიმ-ფაშას კორპუსისაგან გვამების გროვავა დაარჩა.

ქართველთა ცხენოსანმა ლაშქარმა ხელთ იგდო: თურქთა სამი ბანაკი, 13 ზარბაზანი, 36 დროშა და დიდძალი საომარი საჭურველი. ქართველებმა 120 კაცი დაჰკარგეს.

როდესაც ბრძოლის ველიდან სასიკვდილოდ დაჭრილი ქაიხოსრო მიქელაძე გაიყვანეს, ის ჯერ კიდევ გონზე იყო. მას ანუგეშებდნენ: „ნუ გეშინიათ, თქვენი ჭრილობები სასიკვდილო არ არისო“. ამაზე ქაიხოსრო მიქელაძემ უპასუხა: „მე მხოლოდ ის მაშინებდა, რომ მტერს ჩემი სხეული არ დარჩენოდა; ახლა კი, როდესაც ჩემიანებში ვარ და ვკვდებ არა ლოგინში, არამედ ბრძოლის ველზე, საშიში რა მაქვს!“

ასეთი გამირული იყო 1854 წელს ქართველთა ცხენოსანი ლაშქრის შეტევა თურქების წინააღმდეგ მდინარე ჭოროხზე.

მ. პალკოლსკი




ყ რ მ ა დ ა ი ბ ა დ ა...

ყრმა დაიბადა... სდუმს დედა წყნარი. თავს დასტრიალებს შობილს ბებია. შობილი ტირის გულამომჯდარი, სხვები კი მშვიდად ილიმებიან. რად სტირი, ყრმაო, ნათელმოსილო, შენ სატირალი რა გაქვს დედიანს?! ის ისევ ტირის გულამოსკვნილი, და სხვებიც ისევ ილიმებიან. ყრმავე, გაეზარდე ვაჟკაცი დედას, უძღვეველობის კაჟივით მტკიცე, რომ შენი ქვეყნის შებღალვის ნება,

ვით დედის ძუძუ, არავის მისცე. იყავ სამშობლოს გამირ-ალამდარი, მისთვის სიცოცხლე დაუზოგველი, ჭკუით მაღალი, მკლავით მაგარი, ავის და კარგის გამომცნობელი. საქმე ჰქმენ—საქმეს შენსას ჰკვირობდნენ, მზიურ სახელით ყველგან სწვდებოდე, და ისე მოკვდი — სხვები ტიროდნენ, შენ სიკვდილის უამს ილიმებოდე!

ი. მჭელიძე





ლენინგრადის სახელმწიფო ერმიტაჟი მსოფლიოში სახელმწიფო მხატვართა და მოქანდაკეთა უმესანიშნავეს ძეგლებს შეიცავს. აქ თავმოყრილია ძველი საბერძნეთისა და რომის, იტალიის, ჰოლანდიის, ფლანდრიის, ინგლისის, ესპანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის უდიდეს ოსტატთა ტილოები და ქანდაკებანი, ადამიანის გენიის უბადლო ქმნილებანი, ხელოვნების უდიდესი განძეული.

რუსეთის ერმიტაჟს დიდი ხნის ისტორია აქვს. მან დიდი გზა განვლო ვიდრე მეფეების სასახლის კუთვნილებიდან საბჭოთა მუზეუმად გადაიქცეოდა.

უცხოეთიდან სამხატვრო კოლექციების ჩამოტანა ჯერ კიდევ იმპერატორმა პეტრე პირველმა დაიწყო. როგორც ცნობილია, პეტრე პირველმა თავისი მეფობის პირველ წლებში დიდხანს დაჰყო უცხოეთში, განსაკუთრებით ჰოლანდიასა და ინგლისში. უცხოეთში მან ბევრი შესანიშნავი სურათი შეიძინა და რუსეთს ჩამოიტანა. პეტრე პირველი შემდეგშიც არ იფიქვებდა ხელოვნებას და გულმოდგინედ განაგრძობდა სურათებისა და ქანდაკებათა შეძენას. ევროპის ყოველი მხრიდან მოდიოდა ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები მდინარე ნევაზე ახალგაშენებულ დედაქალაქ პეტერბურგში და თავს იყრიდა პეტრეს ცნობილ მონპლენზირსა და კუნსტაკამერაში.

პეტრესდროინდელ ყველაზე შესანიშნავ შენაძენად ითვლება რომში შეძენილი ქალღმერთ ვენერას მარმარილოს უძველესი ქანდაკება, შექმნილი თხუთმეტი საუკუნის წინათ უცნობი გენიალური მოქანდაკის მიერ. ანტიკური ხელოვნების ამ შესანიშნავი ძეგლის რომიდან გამოტანა არცთუ ისე იოლი საქმე იყო. მხოლოდ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დართო ნება რომის პაპმა წაეღოთ ქანდაკება რუსეთში. მოჰქონდათ იგი დიდი სიფრთხილით, რომ ცული

გზების გამო არ დაზიანებულიყო. 1720 წელს მოაღწია მან პეტერბურგს. ამიერიდან იგი პეტერბურგის ვენერა გახდა და ცნობილია „ვენერა თავრიელის“ სახელით.

ასე ეყრებოდა საფუძველი იმ სამხატვრო კოლექციას, რომელიც შემდგომ ერმიტაჟში შევიდა.

საგულისხმოა, თუ რა მდგომარეობაში იყო ამ დროს თვით რუსეთის ხელოვნება?

რუსი მხატვრები ის-ის იყო იწყებდნენ განთავისუფლებას ბიზანტიური ხელოვნების გავლენისაგან. ძველ რუს მხატვრებს ემარჯვებოდათ მაშინ ეკლესიის წმინდანების ხატვა და არ იცნობდნენ ევროპის მხატვრობას. მაგრამ უკვე პეტრეს დროს წარმოიშვა ახალგაზრდა რუს მხატვართა ახალი ნაკადი. პეტრე პირველი ყოველმხრივ უწყობდა მათ ხელს და ამაყობდა მათი ნიჭითა და მიღწევებით. „მე მსურს, — ამბობდა პეტრე, — ყველამ იცოდეს, რომ ჩვენს ხალხშიც არიან კარგი ოსტატებიო“...

განმარტოებული თავშესაფარი

პეტრე პირველის შემდეგ სამხატვრო კოლექციის შეგროვება მეფე ელისაბედ პეტრეს ასულმა განაგრძო. მისი მეფობის დროს პეტერბურგში მდინარე ნევაზე აგებულ იქნა ახალი ზამთრის სასახლე. მას აშენებდა იმ ეპოქის სახელგანთქმული არქიტექტორი ბართლომე რასტრელი, ეროვნებით იტალიელი. სასახლის აშენება 1761 წელს დამთავრდა, მაგრამ ელისაბედ პეტრეს ასული იქ გადასვლას ვეღარ მოესწრო. არც მის შემდეგ გამეფებულ პეტრე მესამეს დასცალდა ახალ სასახლეში ყოფნა. ორი-სამი თვის შემდეგ იგი ტახტიდან ჩამოაგდო მისმა ცოლმა ეკატერინემ და თვითონ გამეფდა ეკატერინე მეორის სახელით.

ბრწყინვალედ მორთო ეკატერინე მეორემ ახალი ზამთრის სასახლე წინა მეფეების



მიერ შექმნილი უცხოური ნახატებითა და ქანდაკებებით, აქვე გამოჰყო მან თავისთვის „განმარტოებული თავშესაფარი“ ანუ ერმიტაჟი.

ჯერ კიდევ ძველ ზამთრის სასახლეში მეფე ელისაბედ პეტრეს ასულს ჰქონდა თავისი „განმარტოებული თავშესაფარი“, „განდეგილის ხანაგა“, სადაც მას, მეფეს, შეეძლო განმარტოებით, შინაურულად ყოფილიყო, როცა კი ამას მოისურვებდა. ასეთი განმარტოებული პავილიონები ფრანგ მეფეებს ჰქონდათ ზოლმე ვერსალის სასახლეში და ჰერმიტაჟს (Hermitage) უწოდებდნენ.

ამის მიზანძვით მოაწყო ეკატერინე მეორემ თავისი „განმარტოებული თავშესაფარიც“ — ერმიტაჟი.

პეტრესა და ელისაბედის დროინდელი შენაძენი კოლექციები ერმიტაჟის მხოლოდ წინაისტორიას შეადგენენ. ერმიტაჟის ნამდვილი ისტორია ეკატერინე მეორიდან იწყება, სახელდობრ, 1764 წლიდან. ამ წელს პეტერბურგს ჩამოტანილ იქნა ეკატერინე მეორის მიერ საზღვარგარეთ შექმნილი სურათების დიდი კოლექცია.

ერმიტაჟისათვის პირველი წყების სურათების შერჩევაში, და შემდეგშიც, ფასდაუდებელი მონაწილეობა მიიღო დიდმა ფრანგმა ენციკლოპედისტმა დენი დიდრომ, რომელსაც იმ დროს ბადალი არ ჰყავდა ხელოვნების ნიმუშების ცოდნაში.

სურათების პირველი წყების შემდეგ დრეზდენიდან, ჟენევიდან, ამსტერდამიდან,



მურილიო, ბიჭუნა ეთამაშება ძალს

პარიზიდან, ლონდონიდან ზედიზედ მოდიოდნენ პეტერბურგში ევროპის სამხატვრო ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოებნი.

სასახლეში გამოყოფილი ფართობი მათ ველარ იტევდა და 1768 წელს სასახლეზე მიშენებულ იქნა ერმიტაჟისათვის განკუთვნილი განსაკუთრებული პავილიონი.

ინგლისელ, ფრანგ, გერმანელ მდიდარ კოლექციონერებს სურათები და ქანდაკებანი მხოლოდ თავიანთ კუთვნილებად მიიჩნდათ და ვერც კი წარმოედგინათ, თუ რომელიმე მათგანი მათი ქვეყნიდან ოდესმე წაღებული იქნებოდა, მაგრამ ახლა თვალნათლივ ხედავდნენ, რომ ეს სურათები ხელიდან ეცლებოდათ და გროვდებოდა შორეულ ჩრდილოეთში — რუსეთის დედაქალაქ პეტერბურგში.

იმ დროის ცნობილი უცხოელი მოგზაური და მეცნიერი გეორგი, ზომელმაც ინახულა ერმიტაჟი, წერს, რომ მაშინდელი ერმიტაჟის გალერია პირველი იყო ევროპაში როგორც სახელოვან მხატვართა ნამუშევრებით, ისე ამ ნამუშევრების სიმრავლით.

ნახატებთან ერთად ერმიტაჟში თავს იყრიდა ანტიკური მარმარილოს ქანდაკებანი, შექმნილი იტალიაში, საფრანგეთში, პოლანდიაში, ინგლისში.

რასტრელის მიერ აგებულ ზამთრის სასახლეს თანდათან მიემატა ახალი შენობები, რომლებიც ააგეს ხუროთმოძღვრებმა ლამოტმა და ფელტენმა. გარდა ამისა, 1785 წელს არქიტექტორმა გვარენგიმ დაასრულა ერმიტაჟის ახალი თეატრი, რომელიც აგებული იყო ანტიკური თეატრების მსგავსად. მის ნახევრადრკალოვან ამფითეატრში ყველა ადგილი ერთნაირად საპატიო იყო და თვითეულ მაყურებელს შეეძლო დამჯდარიყო იქ, სადაც სურდა.

1788 წელს გვარენგიმ ერმიტაჟის თეატრის პირდაპირ ააგო კიდევ ერთი შენობა. ეს შენობა სპეციალურად განკუთვნილი იყო გენიალური იტალიელი მხატვრის რაფაელის ფრესკებისათვის (კედლის მხატვრობა), რომლებითაც მორთულია ვატიკანის სასახლის გალერია რომში. ეს ფრესკები სასახლის ზედა იარუსების ირგვლივაა განლაგებული და ლოჯიები ეწოდება. ამ ლოჯიებს სრულქმნილი პირები იქნა გადღებული ტილოებზე და გადმოტანილი გვარენგის მიერ აგებულ შენობაში. ერმიტაჟში ეს შენობა ცნობილია რაფაელის ლოჯიების სახელწოდებით.

იმპერატორის მუზეუმი

ეკატერინე მეორის შემდეგ პავლე პირველის მთელი მეფობის განმავლობაში ერმიტაჟს მხოლოდ 8 სურათი შეემატა.

ევროპის აუქციონებზე უკვე აღარ ჩანდნენ რუსი აგენტები, რომლებიც ეკატერინე მეორის დროს ასე ხელგაშლილად ყიდულობდნენ ერმიტაჟისათვის სურათებსა და ქანდაკებებს. პირიქით, ერმიტაჟიდან დააკარგა მთელი რიგი შესანიშნავი სურათები. როგორც ფიქრობენ, ამაში ბრალი მიუძღვოდა იტალიელ ბრენს, რომელიც პავლე პირველის დროს ერმიტაჟში გრავიურებისა და ესკამპების მცველად ითვლებოდა.

პავლე პირველის მოკვლის შემდეგ ტახტზე ავიდა ალექსანდრე პირველი, რომელიც მანიფესტით იძლეოდა დაპირებას, რომ რუსეთის სახელმწიფოს წარმართავდა თავისი უდიდესი ბეების, ეკატერინე მეორის კანონებისა და სურვილების მიხედვით. ერმიტაჟსაც დაუბრუნდა ეკატერინეს დროინდელი ბრწყინვალე დღეები. მისთვის ყოველწლიურად გამოყოფილ იქნა დიდძალი თანხა. კვლავ დაიწყეს საუცხოო სურათების შეთავაზება ევროპის სამხატვრო კოლეჯების მფლობელებმა.



რემბრანდტი. მოხუცი ქალი.



ტერბორხი. ერთი ქიქა ლამონადი.

ნაპოლეონზე გამარჯვების შემდეგ უცხოეთიდან მრავალი ჯერდნარ ნახატი იქნა ჩამოტანილი პეტერბურგს. 1815 წელს პარიზიდან ერმიტაჟის დარბაზებში გადმოიტანეს ცნობილი მალმეზონის გალერიის 38 სურათი და 4 მარმარილოს ქანდაკება, ცოტათი აღრე კი ერმიტაჟს შეემატა პოლანდიის ბანკირის კუზველტის შესანიშნავი კოლექცია.

მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ დროს ერმიტაჟში შექმნილი „1812 წლის გალერია“. ალექსანდრე პირველმა, უცხოეთში ყოფნის დროს, პეტერბურგს მოიწვია მხატვარი ჯორჯ დოუ 1812 წლის ომის მონაწილე მხედართუფროსების პორტრეტების დასახატად. ჯორჯ დოუმ მხატვრების — გოლიკეს და პოლიაკოვის დახმარებით შექმნა 1812 წლის სამამულო ომის გმირული პათოსით და რომანტიკული ბრწყინვალეობით აღსავსე მხედართუფროსთა — მიხეილ კუტუზოვის, პეტრე ბაგრატიონის, ბარკლაი დე-ტოლის, დენის დავიდოვის, სერგი ვოლკონსკის და მრავალ სხვათა პორტრეტები.

ამ შესანიშნავი პორტრეტებისათვის სპეციალური შენობა შექმნა ზამთრის სასახლეში ხუროთმოძღვარმა კარლო როსიმ.

(დასასრული იქნება)

მ. გვირგიძე

პიონერთა შრომა

კ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის ისტორიიდან*)

1933 წელი

ივლისი-აგვისტო. — როსტოვის ოლქის სოფლები პიონერების ინიციატივით ათასობით სოფლებში პიონერმა მიიღო მონაწილეობა მოსავლის დაცვასა და აღებაში.

1934 წელი

1 იანვარი. — მოსკოვს გაიხსნა ნორჩ მოჭადრაკეთა სკოლიად საკავშირო ტურნირი. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს 18 ქალაქის პიონერებმა და მოსწავლეებმა. გაიმარჯვეს ლენინგრადის ნორჩმა მოჭადრაკეებმა.

19 აპრილი. — მ. ი. კალინინი ესაუბრა მოსკოველ პიონერებს — სწავლის წარჩინებულთ. ამხანაგმა კალინინმა უთხრა პიონერებს: „უნდა ისწავლოთ, მაგრამ სპორტიც არ უნდა დაივიწყოთ; მისდით ფიზკულტურას, გამოიწრეთ ჯანი, ისეირნეთ, ირბინეთ, ითამაშეთ... ჩვენ გვჭირდება ტანმრთელი, ღონიერი, გამბედავი და, რასაკვირველია, მცოდნე ადამიანები. გაიზარდეთ გმირებად“.

1935 წელი

4 დეკემბერი. — კრემლში შესდგა ტაჯიკეთისა და თურქმენეთის მოწინავე კოლმეურნეთა თათბირი. მთავრობამ დააჯილდოვა ბამბის მოყვანის დამკვირვებები. დაჯილდოებულთა შორის რამდენიმე პიონერიც იყო. ტაჯიკი პიონერი გოგონა მამლაკატ ნახანგოვა, რომელმაც დანერგა ბამბის კრეფის ახალი მეთოდი, დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

1936 წელი

22 მარტი. — საბჭოთა საქართველოს მოწინავე ადამიანთა დელეგაციის მონაწილე თბილისის მე-3 სკოლის მოსწავლე გოგონა, პიონერი ეთერ გვანცელაძე წარჩინებული სწავლისა და საზოგადოებრივი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნა „საბატიო ნიშნის“ ორდენით. ამხანაგმა სტალინმა მიულოცა ეთერ გვანცელაძეს მთავრობის მაღალი ჯილდო.

1937 წელი

იანვარი. — მოსკოვის 203-ე სკოლის ორჯონიკიძის სახელობის პიონერთა რაზმეულმა მიმართა მოწოდებით საბჭოთა კავშირის ყველა პიონერს, რათა თვითუღმად პიონერმა ჩააბაროს ნორმები სამ თავდაცვით ნიშანზე. ამ მოწოდებას გამოეხმაურნენ მთელი ჩვენი ქვეყნის პიონერები.

1938 წელი

22 სექტემბერი. — ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კრუშკაიამ მიმართა პიონერებსა და მოსწავლეებს წერილით, რომელშიც ნათქვამი იყო, თუ როგორ უნდა ისწავლონ საბჭოთა მოსწავლეებმა. „რომ იცხოვროთ ნამდვილად ნათელი, ბედნიერი ცხოვრებით, — სწერდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, — უნდა იცოდეთ ბევრი, ბევრი უნდა გაიზაროთ, უნდა ისწავლოთ თავითა და ხელებით მუშაობა, ცოდნა საჭიროა ცხოვრებაში, როგორც შაშხანა ბრძოლაში“. შემდეგ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული სწერდა მასწავლებლის როლზე მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში და ამბობდა: „საბჭოთა სკოლის მოსწავლეები პატივისცემით უნდა ეპყრობოდნენ მასწავლებელს, უნდა უხმარებოდნენ მას კლასში მუშაობის უკეთ მოგვარებაში, უნდა უფრთხილდებოდნენ მის დროს“.

1939 წელი

1 აგვისტო. — მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ნორჩ ნატურალისტთა პავილიონში გამოფენილი იყო საბჭოთა კავშირის პიონერების შრავალი ნამუშევარი.

21 დეკემბერი. — მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად პიონერთა რაზმეულები აღნიშნავდნენ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 60 წლისთავს. ათასობით მისალოცი ბარათი გაუგზავნეს პიონერებმა ხალხთა ბელადს, საბჭოთა ბავშვების საუკეთესო მეგობარს. ყველა რაზმეულში ამხანაგ სტალინის პატივსაცემად დანთებულ იქნა პიონერთა კოცონები.

(გაგრძელება იქნება)

*) დასაწყისი იხ. ჟურნალ „პიონერის“ 1947 წლის №№ 8 და 9-ში



შინაური კურდღელი

შინაური კურდღელი ყოველმხრივ სასარგებლო და მეტად შემოსავლიანი ცხოველია. იგი მალე და დიდი რაოდენობით გვაძლევს მაღალხარისხოვან ხორცს, ტყავს და ბეწვს. თვითნებულ დედაკურდღელს კარგი მოვლით წელიწადში საშუალოდ შეუძლია მოგვცეს 50-მდე ბაჭია.

კურდღლის ხორცი მეტად გემრიელი და ნოყიერია.

შინაური კურდღელი შეიძლება 6 თვისაგ გაიკრიჭოს და წელიწადში 1 კილოგრამამდე ბეწვი მოგვცეს. კურდღლის ბეწვი ძალიან ძვირად ფასობს.

შინაური კურდღლის ხორცი ცხიმის ოდენობით ქათმის ხორცს არ ჩამოუვარდება, ხოლო ცილეულის რაოდენობით მას კიდევაც სჯობნის.

კურდღლის ტყავი თბილი, რბილი, მტკიცე და გამძლეა.

შინაური კურდღელი გარეული კურდღლისაგან არის წარმოშობილი, მაგრამ მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. შინაური კურდღელი 5-დან 12 კილოგრამამდე იწონის, გარეული კი დაახლოებით 1,5 კილოგრამს.

შინაური კურდღლის მკობის პერიოდი 30-31 დღე გრძელდება, გარეულისა კი — 50-52 დღე.

შინაური კურდღელი ტიტველსა და თვალაუხილველ შვილებს შობს, გარეული კი — პირიქით.

შინაური კურდღელი ბაჭიებს 28-30 დღეს აწოვებს ძუძუს, გარეული კი მხოლოდ რამდენიმე დღეს.

შინაური კურდღლის რძე შინაური ცხოველების რძესთან შედარებით უფრო მდი-

დარია სასარგებლო ნივთიერებებით. კურდღლის რძეში 10,5 პროცენტი ცხიმო და 10,5-15,5 პროცენტამდე ცილეული ნივთიერებაა.

თანდათანობითი შერჩევით და შეჯგურებით გამოყვანილია შინაური კურდღლის 50-ზე მეტი ჯიში. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფერით, ბეწვის სიგრძით, ტყავის ხარისხით და სხვ.

გრძელბეწვიანი ჯიშებიდან ცნობილია ანგორული ჯიშის კურდღელი. მისი თვითნებული ბეწვი საშუალოდ 7-8 სანტიმეტრს აღწევს და საუკეთესო ხარისხისაა.

შინაური კურდღლის მაღალხარისხოვანი ჯიშებიდან ცნობილია არიან აგრეთვე შინაშილა, ვენური ცისფერი, რეკსი, შამპანი და სხვ. ისინი ბევრ ხორცსა და კარგ ბეწვიან ტყავს იძლევიან.

საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ზავრცელებული შინაური კურდღლებიდან თითქმის ნახევარზე მეტი შინაშილას ჯიშისაა. ეს ჯიში საფრანგეთიდანაა შემოყვანილი, იგი მონაცრისფერო-ვერცხლისებურია და ძალიან ლამაზიცაა. აქვს სქელი ბეწვი. 6 თვისა ხშირად 3 კილოგრამს იწონის... შინაშილა კარგად ჰკვებავს და უელის ბაჭიებს. 1939 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შინაშილას ჯიშის ისეთი დედაკურდღელი, რომელმაც წლის მანძილზე 9 ჯერ მოიგო და აღზარდა სულ 83 ბაჭია. შინაშილას ტყავი დიდი მოწონებით სარგებლობს. იგი ძვირფასია საყელოების შემოსავლებად და ქურქების შესაკერადაც.

შინაური კურდღელი ადვილი მოსავლელია. იგი შეიძლება ვკვებოთ ნედლი ბალახით, თივით, კომბოსტოს, ჯარჯლის, სტაფილოს, აკაკიის, ტირიფის ფოთლებით, მცენარეთა შტოებით, ძირნაყოფებით, სამზარეულოს ნარჩენებით, მარცვლეულით, სილოსით და სხვ.

მეკურდღლეობა სოფლის მეურნეობის სასარგებლო დარგია და იგი ფართოდ უნდა განვავითაროთ.

ბრიგონ თოდრაძე



ბავშვების ცხოვრება უხსოვრად

თ უ რ ქ ე თ შ ი

თურქეთი ღარიბი და ჩამორჩენილი ქვეყანაა. საწარმოები იქ ძლიერ ცოტაა. რაც არის, ისიც უმთავრესად სასურსათო, საქსოვი და თამბაქოს ფაბრიკებია.

თურქეთში არ არის ქარხნები, რომლებიც უშვებდეს ორთქლმავლებს, ავტომანქანებს, დაზგებს, ტრაქტორებს. ყოველივე ამის შემოტანა თურქეთს საზღვარგარეთიდან უხდება.

თურქეთის მოსახლეობა 18 მილიონს შეადგენს. მოსახლეობის 4/5 ნაწილი არის გლეხობა. სახნავე-სათესი მიწის დიდი ნაწილი მემამულეებისა და კულაკების ხელშია. მშრომელ გლეხობას დასამუშავებელი მიწის ძლიერ მცირე ნაწილი აქვს.

მთელ თურქეთში ათასამდე ტრაქტორი თუ მოიძებნება, და ისიც მხოლოდ მემამულეების ხელშია. გლეხები მიწას ხის კავით ამუშავებენ. ამიტომ მოსავალი თურქეთში ძლიერ მცირეა.

თურქი გლეხები მეტად ღარიბები არიან და ცხოვრობენ ნახევრად მიწაში ჩადგმულ, თიხით შელესილ ქონებში. მუშები თურქეთში 300 ათასს აღწევს და ცხოვრობენ ისევე ცუდად, როგორც გლეხები. კაპიტალისტები მათ აიძულებენ 14-16 საათს იმუშაონ დღეში და ხელფასს იმდენად ცოტას უხდიან, რომ მუშები შიმშილობენ. მუშების ჩვეულებრივ სადილს შეადგენს პური და ხახვი.

სტამბოლის ერთ რაიონში მე ვნახე არაქათგამოლეული ბავშვების დიდი ჯგუფი, რომლებიც თამბაქოს ფაბრიკის კარებიდან გამოდიოდნენ. როგორც ამ ფაბრიკაში, ისე ნოხების საქსოვ და სხვა ფაბრიკებში ბევრი ბავშვი მუშაობს. ერთმა თურქმა ეკონომისტმა მიაშობა მე, რომ თურქეთში მუშების მათედი ნაწილი არიან ბავშვები 14 წლამდე. მათ ძლიერ მცირე გასამრჯელოს აძლევენ. მაგალითად პაპიროსის ათასი კოლოფის დამზადებისათვის ბავშვები ლებულობენ 56 კაპიკს.

თურქეთის ქალაქებში ბევრი უმუშევარი დაუხეტება ცუდად ჩაცმული და შშიერი.

დღითიღვე მატულობს საწარმოებიდან ქუჩებში გამოყრილი ხალხი.

ევრეთწოდებული „დახმარების“ სახით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთს ასესხა 100 მილიონი დოლარი, რათა გააძლიერონ და უკეთ შეაიარაღონ თურქეთის არმია. თურქეთის მთავრობამ ნება მისცა ამერიკელ კაპიტალისტებს თურქეთში შეიტანონ თავისი საქონელი. ამერიკული საქონელი სჯობის თურქულს და უფრო იაფია. ამიტომ თურქეთში ბევრი ფაბრიკა სწყვეტს მუშაობას და უმუშევართა რიცხვიც იზრდება.

ამერიკელი კაპიტალისტები ცდილობენ ხელთ იგდონ თურქეთის ყველა ბუნებრივ სიმდიდრენი — ნავთის, ნახშირის, ტყვიის, გოგირდის და სხვა საბადოები.

თურქეთის მთავრობა თავისი ხალხისათვის ცოტას ზრუნავს. მოსახლეობის ყოველი 100 კაციდან 80 წერა-კითხვის უცოდინარია. 33 ათას სოფელს არა აქვს სასწავლებელი. არა თუ საშუალო სასწავლებლებში, დაწყებით სკოლებშიც ძნელია მუშებისა და გლეხების შეიღების მიღება.

თურქეთის სახელმწიფოს შემოსავლის ნახევარზე მეტი იხარჯება უზარმაზარი არმიის შესანახად. ამერიკელ კაპიტალისტებს უნდათ თურქეთის შეიარაღებული ძალებით დაიპყრონ თურქეთის მდიდარი მეზობელი ქვეყნები ეგვიპტე, პალესტინა, სირია, ირანი და სხვ. თურქი ფაშისტები ცდილობენ ბავშვები ისე აღზარდონ, რომ მათ შეაძულონ სხვა ხალხები.

ასევე ცდილობენ თურქი ფაშისტები შეაძულონ ბავშვებს ჩვენი ქვეყანაც.

ყოველივე იმაში, რაც ამყამად თურქეთში ხდება, თურქი ხალხი არ არის დამნაშავე.

„ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს ბავშვებს შეეძლოს სწავლა... ჩვენი ქვეყანა იყოს თავისუფალი“, — ამბობს თურქი ხალხი.

მ. გურსკი

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



გასართობი

ქართული ხაღხური სპორტი

„ხაზობაია“


„ხაზობაია“ ორი მოთამაშისათვისაა განკუთვნილი.

სუფთა მიწაზე ცარციტ ან ნახშირით ხაზავენ კვადრატს, რომლის გვერდი დაახლოებით 30 სანტიმეტრს უდრის. კვადრატს დაპყოფენ 8 თანასწორ ნაწილად (იხ. ნახაზი). შემდეგ აიღებენ ექვს კენჭს — (თვითეულს დაახლოებით 100 გრამიანს). კენჭი—სამი თეთრი უნდა იყოს და სამიც შავი. თეთრებს კვადრატის ერთ გვერდზე განალაგებენ, შავებს კვადრატის მოპირდაპირე გვერდზე, ხაზების გადაკვეთის წერტილებზე.

იწყება თამაში. კენჭების გადაადგილება ყოველთვის თავისუფალ ხაზზე ხდება. კენჭების მოძრაობის მიმართულება ისრებითაა ნაჩვენები ნახაზზე.

ვინც მოასწრებს თავისი სამი კენჭის ერთი დიაგონალის გასწვრივ განლაგებას, ის იქნება მოგებული.

თამაში დაკვირებას მოითხოვს და ხშირად მთელი საათობით გრძელდება. **ზ. ზოგუა**



შინაარსი

33.	პიონერთა აქტივის კაბინეტი (ნარკვევი)	17	
პლანდმარ ილიასძე ლენინი (ფოტო-პორტრეტი)	1	ი. აბაშიძე—ძია მისი (პოემა)	18
ა. კაჭახიძე—იანვრის ღამე (ლექსი)	2	ნ. ჯაფარიძე—სევესტროპოლი (საბჭოთა კავშირის გმირი ქალაქები)	21
ბ. გრიშაშვილი—ახალი წელი (ლექსი)	3	შ. ვადბოლსკი—ქართულითა ცხენოსანი ლაშქარი (ნარკვევი)	24
ლ. მეგრელიძე—ჩვენი სკოლის ბავშვები (პატარა მოთხრობები)	4	ი. მჭედლიშვილი—ყრმა დიბადა (ლექსი)	25
ვ. გორგანელი—საახალწლო საჩუქარი (ლექსი)	6	შ. გვინჩიძე—ერმიტაჟი (შოკლე ისტორიული ნარკვევი)	26
ი. დუბინსკი—საბჭოთა უკრაინა (XXX წლის-თავი)	7	პიონერული მატინე (გაგრძელება)	29
თ. ჯანგულაშვილი—კიეველ პიონერებს (ლექსი)	8	ტრ. თოდრაძე—მინსური კურდღელი (ნორჩი ნატურალისტის კუთხე)	30
რ. ჩაჩანიძე—რკინის ჯაჭვი (ამბავი ინდო-ელთა ახლო წარსულიდან)	9	ო. გურსკი—თურქეთში (ბავშვების ცხოვრება უცხოეთში)	31
კ. ბობოხიძე—განახლებულ ფოთში (ლექსი)	11	გასართობი	32
გ. ლეჟავა—გის საიდუმლო (ლექსი)	11	ორი ნაძვის ხე	გარეყანის მე-3 გვ.
თ. საჯაია—რუსი გლეხის გულის მესაიდუმლო (წერილი)	12	თბილისის ნაგებობანი — ფოტომონტაჟი	
შ. ქორელი—კოტე მესხი და მისი ხინჩლა (მოგონება, დასასრული)	14	რ. აკოფოვისა	ქართულის მე-4 გვ.

გარეყანაზე—ზამთრის პეიზაჟი ქართლში
ფოტო ვ. გინზბურგისა.

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. კაჭახიძე**
სარედაქციო კოლეგია: **ი. აბაშიძე**, **აკად. ნ. ბერძენიშვილი**,
შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), **ვ. ვარდიაშვილი**, **პროფ. გ. თავაშიშვილი**,
ს. კეცხოველი, **პ. მეტრეველი**, **ნ. ნაკაშიძე**.

მ რ ი ნ ა ძ ვ ი ს ხ ე



ეს ძალიან კარგია...



ეს კი ძალიან ცუდია!

(ვ. შაიკოვსკი)

გამოიცანით ამ ფოტოსურათებზე ჩვენი დედა-
ქალაქ—თბილისის ღირსშესანიშნავი ნაგებობანი.
ფოტო-მონტაჟი რ. აკოფოვისა

